მარიანა გუბელაძე

პროფესიული განათლება საქართველოში, პრობლემები და გამოწვევები

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
ივლისი 2019

საავტორო უფლება 2019 სახელი გვარი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი **მარიანა გუბელაძე** მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: **„პროფესიული განათლება საქართველოში, პრობლემები და გამოწვევები“** და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი: _____

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
2019 წელი

ავტორი: სახელი გვარი

დასახელება: პროფესიული განათლება საქართველოში, პრობლემები და გამოწვევები

ფაკულტეტი: იურიდიული

ხარისხი: საჯარო მმართველობის მაგისტრი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ძლიერი განათლების სისტემა, რომელიც დაეხმარება ქვეყანას რიგი პრობლემების გადაჭრაში. განათლების სისტემის განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს პროფესიული განათლების ერთიანი ეროვნული სისტემა.

პროფესიული განათლება სოციალურ - ეკომიკური სფეროს მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ერთ-ერთი განმაპირობებელი პირობა ქვეყნის სიძლიერისა და წინსვლისთვის.

პროფესიული განათლების მნიშვნელოვანი მიმართულებაა დაეხმაროს შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარს შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადებაში.

ასევე, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის არსებობით, გაზარდოს მის მიმართ ინტერესი და გახდეს უფრო მიმზიდველი საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლებისთვის. საქართველომ უნდა მოახერხოს ევროპის პროფესიული საგანმანათლებლო სისტემასთან აბსოლუტური ინტეგრირება, ამასთან, უნდა შეძლოს საკუთარი სისტემის ჩამოყალიბებას, რადგან ყველა ქვეყანას გააჩნია განსხვავებული საბაზრო ეკონომიკა, კულტურული ღირებულება და განსხვავებული შრომითი ბაზარი, შესაბამისად საკუთარი ქვეყნის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება უნდა იყოს პრიორიტეტი.

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გამართული და სრულყოფილი, სახელმწიფოს მხრიდან გატარებული რეფორმები საჭიროებს მეტ სისწრაფეს და მოქნილობას, მაგალითისთვის, განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერება და შესაბამისი კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფით, რომლების შეძლებენ მაქსიმალური ცოდნის მიცემას სტუდენტებისთვის. ფინანსური მხარის გაძლიერება. ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვან პრობლემად რჩება პარტნიორების ჩართულობა, უკეთესი იქნება ამ პრობლემისთვის მეტი ღონისძიებების და რეფორმების გატარება, თავის მხრივ კი,დამსაქმებელი თავად უნდა იყოს მეტად ჩართული და დაინტერესებული სტუდენტის სწავლის პროცესში, რადგან მიიღოს ისეთი დონის კადრი, როგორიც სჭირდება მას, რომ ჰყავდეს. ასევე, მეტი პოპულარიზაციისთვის სხვადასხვა მექანიზმების შემუშავება, რადგან უმაღლესს სასწავლებლის მოთხოვნის დონეს არამც თუ დაეწიოს არამედ გადაასწროს, ისევე, როგორც ეს ხდება რიგ განვითარებულ ქვეყნებში, რომლების მაგალითის სახით მოყვანილი მაქვს ნაშრომში.

ნაშრომის ძირითადი მიზანია, არსებული კვლევების მაგალითზე დაყრდნობით პროფესიული განათლების ძირითადი პრობლემების წარმოჩენა. ასევე, სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით შესაბამისი საჭირო კადრებისთვის მომზადება.

Abstract

The main priority of ministry of education,science,culture and sport of georgia is a strong educational system that will assist the country to solve a number of problems.the subject of special attention of educational system is the unified national system of vocational education.

the vocational education is an important part of social-economical sphere which is the one of reason for the counrty's strength and progression.

the main direction of professional education is to assist the internal and labour market for preparing qualified staffs.

Also,with the possibility of teaching whole life is to increase its interest and become more attractive to all section of society.Georgia should manage an absolute integration with the european vocational educational system.therefore,it should be able to establish it's own system,because all countries have different a market economy,cultural velues and different labour markets.therefore,the capacities maximum utilization of own country should be a priority.

the vocational educational system of georgia isn't still working order and perfect.reforms which are implemented by the state requires more agility and flexibility.for example,increasing access of education,enhancing educational institution and providing apropriate quilified staffs which will be able to give maximum knoladge to students.strengtn of financial side.also.one of the important problem is the involment of partners.it will be better to take more measures and reforms for this problems.On the other hand, the employer should be more involved and interested in the student's learning process, because it takes the level of the person who needs to have . Because the higher education institution's level of demand should not only cope with it but aslo overcome.Just as it happens in a number of developed countries, which I am presented in the work as an example.

The main goal of the thesis is to present the main problems of vocational education based on the existing research. As well as in terms of socio-economic conditions preparation of appropriate staffs.

სარჩევი

შესავალი.....7

I თავი. პროფესიული განათლების განვითარება საქართველოში.....13

1.1. პროფესიული განათლების ისტორიული მიმოხილვა…….....…..13

1.2 . პროფესიული განათლება რეფორმები.....15

1.3. პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიური გამოცდილება..... 17

1.4 პროფესიული განათლების შესაბამისობა შრომით ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან..... 20

1.5 მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობის უზრუნველყოა.....24

1.6. პროფესიული განათლების პოპულარიზაცია.....26

1.7. პროფესიული განათლების მმართველობითი ორგანო.....28

1.8. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ.....29

1.9. ხარისხის კონტროლი პროფესიულ განათლებაში.....32

1.10. არსებული პრობლემები პროფესიული განათლების სისტემაში.....33

II პროფესიული განათლების ევროპული მიმართულებები.....34

2.1. „ევროპა 2020“ ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის სტრატეგია.....34

2.2. ევროპის საკვალიფიკაციო ჩარჩო.....35

2.3 პროფესიულ განათლებაში ევროპული ინტეგრაცია.....35

2.4 მოდულური საგანმანათლებლო სისტემა.....36

2.5. დუალური განათლება-სამუშაოზე დაფუძვნებული სწავლა გერმანიის მაგალითზე.....39

2.6 სხვა ევროპულ ქვეყნების გამოცდილება პროფესიულ განათლებაში...41

2.7. პროფესიული სასწავლებლების და შრომის ბაზრის ურთიერთობის ევროპული გამოცდილება.....46

III პროფესიული განათლების სისტემის განხორციელებული რეფორმების ანალიზი, არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.....49

3.1 პროფესიული განათლების დაფინანსების სისტემა.....49

3.2. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი და ცვლილებები პროფესიული განათლების სისტემაში.....52

3.3 საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა სხვადასხვა ტერიტორიული ადგილმდებარეობის მიხედვით.....53

3.4.ადგილობრივი შრომის ბაზარი და მისი გავლენა პროფესიულ განათლებაზე საქართველოში 57

3.5. მენტალობა საქართველოს პროფესიულ განათლებაში.....59

შედეგები და განსჯა.რა საშუალებით უნდა წარიმართოს პროფესიული განათლების სისტემა.....60

დასკვნა.....62

გამოყენებული ლიტერატურა.....65

შესავალი

„ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება; სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო სივრცეში“

საქართველოს კონსტიტუცია

პროფესიული განათლების ძირითადი მიზნებია; არსებული შრომითი ბაზრის შესწავლა და შესაბამისი რეაგირება, მაქსიმალური დაახლოება ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან და მისი გამოცდილების დახმარებით შესაბამისი სტრუქტურის მომზადება, პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების განსაზღვრა და მათი დაკმაყოფილება, სოციალური დაცვის ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადება - გადამზადება და დახმარება დასაქმების კუთხით.[1]

მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის, მაღალი უმუშევრობის მიუხედავად არის პროფესიები, რომლებიც მოთხოვნადი და დეფიციტურია. ამ პრობლემის გადაჭრისთვის საჭიროა სახელმწიფომ შეიმუშავოს ისეთი სისტემა, რომ პროფესიულმა განათლებამ ეფექტიანად შეძლოს შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინა და შესაბამისი კადრებით მისი უზრუნველყოფა.

მისი ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის ეფეტური სამუშაოების გატარება, ამ კუთხით გადადგმული ნაბიჯები, რომელიც ასევე, გულისხმობს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობას. ამ კუთხით განვითარებული რეფორმები ბოლომდე ვერ უზრუნველყოფ მის შესაძლებლობებს.

კიდევ ერთ მთავარ პრობლემად რჩება მისი ნაკლებპოპულარულობა, არსებული რეალობიდან გამომდინარე თავს იჩენს მენტალური თავისებურებები, რომლის მიხედვითაც პროფესიული განვითარება არც ისე სახარბიელო საფეხურად მიიჩნევა, საქართველოს ეროვნული სტატისტიკის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი არჩევანს უმაღლეს განათლებას ანიჭებს, რაც აფერხებს მისი განვითარების გზას.

ნაშრომის საშუალებით მინდა ვისაუბრო არსებული პრობლემებზე რაც აქვს პროფესიული განათლების სისტემას, ასევე, ჩატარებული კვლევების მაგალითზე განვსაზღვროთ თუ რა პრობლემები შეიძლება მოგვიტასონ ამ სისტემის გაუმართაობამ.

---

[1] საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ.

საკვლევი თემის მეცნიერული სიახლე

ბოლო პერიოდში პროფესიულ განათლების სფეროში ბევრი ცვლილება განხორციელდა. ცვლილებები განათლების სფეროში, ახალი სასწავლო დაწესებულებები, ახალი სასწავლო სისტემები, ევროპული განათლების დანერგვის სურვილი, განათლების დონის გაუმჯობესება, ქვეყნის ბაზარზე არსებული მოთხოვნებისთვის მომზადება და საჭირო კვოტის გათვალისწინება.

სწორედ ეს გახლავთ მიზეზი, რის გამოც აქტიურად დაიწყო მუშაობა პროფესიული განათლების პოპულარიზაცისთვის. საინტერესოა, თუ რამდენად შესაბამისია გადამზადებული პროფესიული კადრები შრომით ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან.

ბოლო წლებში საქართველოში განხორციელდა მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცვლილებები, რომლებიც მოიცავდა მთელ რიგ რეფორმებს. მიუხედავად ამისა, სისტემაში არის პრობლემები, რომლებიც ჯერ კიდევ გადაუჭრელია, ქვეყანამ, მნიშვნელოვანი ცვლილებები განახოციელა პროფესიული განათლების კუთხით, რასაც შრომით ბაზარზე მაღალი კონკურენცია და კვალიფიციური კადრების მომზადება უნდა ეზრუნველყო.

მართალია ამ თემაზე უკვე არის სხვადასხვა სახის კვლევები და ნაშრომები,მაგრამ პროფესიული განათლება შედარებით ახალი ცნებაა განათლების სისტემაში, საზოგადოებამ ჯერ კიდევ ვერ აღიქვა მისი დანიშნულება სწორედ, რაც ვფიქრობ გამოწვეულია ინფორმაციის ნაკლებობითა და პოპულარიზაციით.

თემის აქტუალურობა: მიუხედავად რიგი ცვლილებებისა, სისტემის წინაშე დგას პრობლემები, რომლებიც მოითხოვს სასწრაფო რეაგირებას: ახალი სამუშაო ადგილების დაბალი მაჩვენებელი, სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა დაბალი პროდუქტიულობა. საჭირო დარგში არასაკმარისი და არაკვალიფიციური კადრი.

პროფესიული განათლების სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობის გაზრდა, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. პროფესიული განათლების ხარისხი, ეკონომიკური პოტენციალის ნაწილად მიიჩნევა და ის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია.

პროფესიული განათლების სისტემა დგას გამოწვევის წინაშე - სწრაფად და ეფექტიანად ვერ პასუხობს შრომის ბაზარს. დამსაქმებლები ვერ ახერხებენ მათთვის საჭირო პროფესიული განათლების მქონე კადრების მოძიებას. შესაბამისად, სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის აშკარა დისბალანსია.

გამოყენებული კვლევების და ნორმატიული ასპექტების გათვალისწინებით შეიძლება განისაზღვროს პროფესიული განათლების მიმდინარე ტენდეციები და არსებული პრობლემები რომელის მისცემს ანალიზის და დასკვნის გაკეთების საშუალებას დაინტერესებულ პირებს.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და დამუშავების საშუალებას იძლევა.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებული იქნება თემასთან დაკავშირებული მეთოდოლოგია, სხვადასხვა წყაროებზე მუშაობა, მათი მოძიება და მოძიების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი და დასკვნების გამოტანა ლოგიკური აზროვნების საფუძველზე.

ასევე **კვლევის ობიექტები არიან:** პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიები, პროფესიული განათლების სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, საარქივო მასალები და მოცემულ პერიოდში პროფესიული ზოგადი განათლების მიმართულებით განხორციელებული კვლევები.თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციებისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების ანალიზი და შეფასება.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება 3 თავისგან და 23 ქვეითებისგან, პირველ თავში განვიხილავ საქართველოს პროფესიული განათლების განვითარებას ქვეყანაში, რეფორმებს,სტრატეგიებს და არსებულ პრობლემებს.

მეორე თავში საუბარი მექნება პროფესიული განათლების ევროპულ მიმართულებებზე, ევროპულ პროგრამებზე, მათ გამოცდილებაზე, სამუშაოზე დაფუძვნებული სწავლის დანერგვაზე პროფესიული სწავლების და შრომითი ბაზრის ურთიერთობაზე.

მესამე თავში ვისაუბრებ განხორციელებული რეფორმების ანალიზზე, პრობლემებზე და მათ გადაჭრის გზებზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომში წერისას მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია შემდეგმა ნაშრომებმა, საკანონმდებლო ბაზებმა, პროფესიული განათლების სისტემის სტრატეგიულმა დოკუმენტებმა, ეროვნული სტატისტიკის და კერძო კვლევებმა.

მთავარ სახელმძღვანელო კვლევის პროცესში წარმოადგენდა: განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021.

ეს გახლავთ სახელმწიფო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული განათლების პოლიტიკას,წარმოადგენს ქვეყნის ხედვას,მის სამომავლო განვითარების პერსპექტივებს, პროფესიულ კავშირებს ადგილობრივ და საერთაშორისო დონორებს. კერძო და სახელმწიფო წარმომადგენლების მოსაზრებები, მთავარ მიზანს წარმოადგენს ადამიანური რესურსების გაუმჯობესება, სიღარიბის პრევენცია, დასაქმების ხელშეწყობა. ასევე ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ევროპასთან ინტეგრაცია.

საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ 2010წ. კანონი ევროკომისიის მიერ არის დაფინანსებული, ეს გახლავთ დამხმარე პროექტი: „საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმების სტრატეგიული და იურიდიული ჩარჩოს შემუშავების დამხმარე პროექტია“.

კანონის მიზანია ეროვნულ დონეზე პროფესიული განათლების სამართლებრივი საფუძვლების ფორმირებითა და მათი შემდგომი განხორციელების აქტიური ხელშეწყობით საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის განვითარება და საერთაშორისო დონეზე მისი აღიარების უზრუნველყოფა.

“საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ“ პროექტის განხილვა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თბილისი, 2017. განახლებული კანონპროექტი, სადაც მთელი რიგი რეფორმების ცვლილებებზეა საუბარი, და მთავარ მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერებას პროფესიული განათლების კუთხით.

პროფესიული სტანდარტები, ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკური განვითარება, შიდა და საერთაშორისო ბაზრის დაკმაყოფილება კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრით.ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან მისი ინტეგრაციის ხელშეწყობა. ასევე მასში აღწერილია, სტანდარტები საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, პროფესიის სტანდარტების და კრედიტების აღიარების წესი.ახალი კანონის პროექტი იძლევა უფრო მეტ შესაძლებლობას პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველო „სიტუაციური ანალიზი და საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების ანგარიში“ 2015. ნაშრომში საქართველოში პროფესიული

განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხია განხილული, რაც აღიარებულია, როგორც ერთ-ერთ პრიორიტეტი. პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს საერთაშორისო პოლიტიკის და მექანიზმების შემუშავებას, სწავლის და კვლევის და საზოგადოებასთან მუშაობის კუთხითაც. რაც აძლევს სტუდენტებს საშუალებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ცოდნის მიღების და დასაქმების შესაძლებლობას.

„საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების შესახებ“ საქართველოს პარლამენტი ქუთაისი 2015, კანონი ითვალისწინებს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და განვითარებას პროგრამების სტიმულირებისათვის შეღავათების განსაზღვრას, რამაც უნდა უზრუნველყოს იქაური მაცხოვრებლების ცხოვრების დონის ამაღლება, კეთილდღეობა, და დასაქმება.

პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე საქართველოში. ე.ნარეშელაშვილი, რომელშიც ავტორს განხილული აქვს შემდეგი საკითხები: პროფესიული განათლების სისტემის ფუნქციონირების პროცესი და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე სისტემის მდგომარეობის განსაზღვრა. ასევე, მართვის ოპტიმაზაციის ეფექტური მექანიზმების გამოყოფა, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებში.

ადგილობრივი შრომის ბაზრის როლი პროფესიული განათლების დაგეგმვასა და განვითარებაში. თამარ კაკუტია; ნაშრომი ეხება პროფესიული საგანმანათლებლო მოთხოვნების გაცნობას, მის ხელშეწყობას საქართველოს მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნებთან და არსებული სიტუაციის განსაზღვრას შრომის ბაზარსა და პროფესიულ საგანამათლებლო დაწესებულებას შორის.

I თავი. პროფესიული განათლების განვითარება საქართველოში

1.1. პროფესიული განათლების ისტორიული მიმოხილვა

განათლების სისტემის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნის განვითარებისთვის, ამ სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს პროფესიულ განათლებას, რომელიც ერთ-ერთი მთავარ პრიორიტეტური მიმართულებაა საქართველოს მთავრობისთვის. მისი ძირითადი მიზნები მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება, კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრის მომზადება შრომითი ბაზრისთვის. პიროვნების პროფესიული განვითარება და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან მოსახლეობის ადაპტაციის ხელშეწყობა.

განათლების რეფორმების მნიშვნელოვანი ტალღა საქართველოში ხორციელდება 2004 წლიდან. პროფესიული განათლება დღეს საქართველოში ეტაპობრივად იკიდებს ფეხს, თუ რეფორმების დასაწყისში აქტიური და დიდი რესურსი ვრცელდებოდა უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეზე, ნელ-ნელა შეიცვალა მიდგომა და შეხედულებები საზოგადოების და სახელმწიფოს მხრიდან, მიმდინარე რეფორმები დიდ წილს შეადგენს პროფესიული განათლების განვითარებისთვის მაქსიმალურად შედეგისუნარიანი სისტემის ჩამოყალიბება.

ქვეყნის ეკონომიკას განსაზღვრავს კვალიფიციური კადრი, მაღალი პროფესიული უნარებით, სრულყოფილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით იმ დარგში, სადაც მოღვაწეობს.

1821 წელს მწიგნობარ ფირალიშვილი გოდერძის მიერ გამოიცა "საზოგადო მდივნობა" რაც ადასტურებს იმას, რომ საქართველო შუა საუკუნეებში აქტიურად იყო ჩართული ამ დარგის განვითარებაში.

მე17-მე18 საუკუნეში აქტიურად მიმდინარეობდა ყველაზე მოთხოვნადი პროფესიის დაუფლება „შეგირდობა“ კურსი დაახლოებით 7-8 წელი გრძელდებოდა, სხვადასხვა სირთულეების შესაბამისად.[2]

1850 წელს კავკასიური სოფლის მეურნეობის საზოგადოება დაარსდა. 1855 წელს საზოგადოების მიერ ქუთაისსა და თბილისში დაარსა მეურნეობისა და ხელოსნობის სკოლა. 1859 წელს აღმოსავლეთ საქართველოში, ს.კონდოლში გაიხნა მეღვინეობის სკოლა. 1864 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში გაიხსნა: ლოჭინის სკოლა-ფერმა. რომელთა კურსდამთავრებულებს გადაეცათ მეცნიერ-მუშაკის წოდება.[3]

1972 წელს თბილისში გაიხსნა პირველი საფერშლო სკოლა, რომელიც შემდგომ სამედიცინო სასწავლებელი გახდა. რამაც ხელი შეუწყო შემდეგ სამედიცინო სასწავლებლების განვითარებას.

ეტაპობრივად ვითარდება სხვადასხვა დარგებიც: ფერმწერთა სკოლა (1901წ). 80-90 წლებში გაიხსნა სასოფლო სამეურნეო სკოლები, ჩამოსასხმელი საამქრო, აბრეშუმის ქსოვის განყოფილება და ა.შ.

ამ პერიოდისთვის აქტიურად იყო მოსახლეობა ჩაბმული აღნიშნული დარგების განვითარებაში. წლიდან-წლამდე საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა საგანმანათლებლო დაწესებულებები, რაც ხელს უწყობდა მოსახლეობის განათლებას და უკეთესი უნარების შეძენას სამეურნეო საქმიანობის უკეთ წარსამართად.

საბჭოთა კავშირის პერიოდში პროფესიული განვითარების სისტემაში მოხდა მთელი რიგი ცვლილებები, თუ მანამდე, არსებობდა 86 ტექნიკური სასწავლებელი, რომელთა დიდ ნაწილს წარმოადგენდა ჰუმანიტალური ფაკულტეტი, შემდეგ სასოფლო სამეურნეო, აღმოჩნდა, რომ რეალურად სახელმწიფოს იმ დროისთვის არ ჰქონდა რესურსი მათი რეალური ფუნქციონირებისათვის, ამიტომ შეწყვიტეს ფუნქციონირება და დარჩა მხოლოდ ცამეტი.[4]

---

[2] თაბუკაშვილი2015

[3] Челидзе, К. (1981). Очерк истории среднего специального образования в Грузии

[4] Челидзе, К. (1981). Очерк истории среднего специального образования в Грузии

1991 წელს საქართველოს უზენაესი რესპუბლიკის საბჭომ დაამტკიცა დებულება: „საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ“. საშუალ პროფესიული განათლება 2005 წლამდე რეგულირდებოდა 1997 წელს მიღებული „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით.[5]

რა თქმა უნდა, იმდროინდელი ეკონომიკური მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფდა პროფესიული განათლების სრულფასოვან გამოყენებას, ის ვერ პასუხობდა არსებულ მოთხოვნებს.

1.2 . პროფესიული განათლება რეფორმები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთელი რიგი რეფორმები, რომლებიც განხორციელდა საქართველოში, განიხილებოდა რეფორმების სხვდასხვა სახეები, რომლებსაც უნდა გაძლიერებულიყო ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის. ქვეყნის ეკონომიკა, სისტემური ცვლილება საჯარო სექტორში, სერვისების გაუმჯობესება, კორუფციის აღმოფხვრა და ა.შ. განათლების სისტემა რომელიც რა თქმა უნდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ეკონომიკის ზრდისა.

2004 წლამდე პროფესიული განათლება არ განიხილებოდა ამ პრობლემის მთავარ აღმომფქვრელ პირობად. ქვეყანაში უმაღლესი განათლების პოპულარობის გამო, მნიშვენოვანი საფრთხე შეექმნა პროფესიულ განათლებას. გამოკვეთილი იყო პოპულარული პროფილის რამდენიმე სახეობა, რაზეც ჩარიცხვა გახდა პრესტიჟული. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკმაოდ მარტივად ხდებოდა და კორუფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო გახლდათ.

საქართველომ 2005 წლის 31 აგვისტოს N150 დადგენილებით დაამტკიცა „პროფესიული განათლების კონცეფცია“ რომელიც სხვა სტრატეგიულ მიზნებთან ერთად ითვალისწინებდა ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკის მშენებლობას. სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში,

[5] საქართველოს კანონი განათლების შესახებ,საქართველოს პარლამენტის უწყებები, 33, 31/07/1997

სასწავლო პროცესის კრედიტ-საათებით დაგეგმვა, სხვადასხვა სასწავლო პროგრამების შესწავლა, მათი მიზნების და შინაარსის თავსებადობის განსაზღვრა, მიღებული ცოდნის, უნარ-ჩვევების შეფასება. ეს იყო კონცეფცია, რომლის მიხედვითაც უნდა მოგვარებულიყო რიგი პრობლემები, რომლების იყო განათლების სისტემაში.[6]

პროფესიული განათლების განვითარებისთვის საჭირო იყო სამუშაო ადგილების შექმნა კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე. ამ პერიოდში აქტიურად განიხილებოდა : "სამუშაოზე დაფუძვნებული სწავლება „ (work-based learning)

უნდა ითქვას, რომ ამ რეგულაციამ, რომელიც იმ დროისთვის შეიმუშავა სახელმწიფომ ვერ უპასუხა დასახულ მიზანს და სტრატეგიას ,ამის მიზეზი ისევ და ისევ ეკონომიკის დაბალი დონე მოისაზრება, შრომითი ბაზარი არ იყო მზად არსებული სისტემის მისაღებად, ასე რომ, განათლების ამ რეგულაციამ ერთმანეთისგან გაყო უმაღლესი პროფესიული და უმაღლესი აკადემიური განათლება.

შემდეგი ნაბიჯი იყო პროფესიული განათლების სტრატეგია (2009-2012)

სტრატეგიის ძირითადი ამოცანა იყო:

- კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრებისთვის.
- პროფესიული განათლების სისტემის დაახლოება და ჰარმონიზაცია ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან.
- პიროვნების თვითრეალიზაციის ხელშეწყობა.[7]

ეს იყო პირველი ნაბიჯები სტრატეგიის შემუშავებისა, რომელიც სახელმწიფომ გადადგა ამ კუთხით და მნიშვნელოვანი შედეგი უნდა ყოფილიყო რაც შეიძლება მეტი ჰარმონიზაცია ევროპულ სივრცესთან, ამ

---

[6] საქართველოს მთავრობა, 2015,#150

[7] პროფესიული კვალიფიკაციათა ჩარჩო,პროფესიული სტანდარტები,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი,2012.

კუთხით უნდა ითქვას , რომ სტრატეგია არ იყო ძლიერი, მაგრამ ევროპულ პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემასთან დაახლოების პირველი ნაბიჯები ამ პერიოდიდან დაიწყო.

1.3 პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიური გამოცდილება

უფლება და პირობები სტრატეგიის მიზნებს შორის ფორმულირებულია შემდეგნაირად: პროფესიული განათლების სტრატეგია შეესაბამება მთავრობის 2020 წლის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიას.[8] ამ სტრატეგიის მთავარი მიზანია: ადამიანური კაპიტალის განვითარება, მოქნილი და შრომით ბაზარზე ორიენტირებული პროფესიები ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზია კვალიფიციური კადრების მოღვაწეობისა კონკურენტუნარიან შრომით ბაზარზე.

სტრატეგიის მთავარი მიზანი იყო თანაბარი ხელმისაწვდომი პროფესიული განათლებია. მათი მომზადება დასაქმებისათვის და თვითდასაქმებისთვის,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჩართულობა და ინტეგრაციის ხელშეწყობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების პროცესში, რომლებიც მიისწრაფვიან დინამიური და წარმატებული საზოგადოებისა და ფიზიკური ეკონომიკის ჩამოყალიბებისაკენ. ასევე, განათლების ხელმისაწვდომობა, მათი სოციალური, ეკონომიკური, ეროვნული, სქესის და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.[9]

სტრატეგიაში განხილულია ხელმისაწვდომობის გაზრდის შემდეგი მეთოდები:

- საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის ეროვნული და რეგიონულ საჭიროებათა ჰარმონიზაცია;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა;
- პროფესიული განათლების მოქნილობის უზრუნველყოფა;
- ადაპტირებული ინფრასტრუქტურა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის;
- სტუდენტთა ჩარიცხვის პოლიტიკა, საჭიროების შემთხვევაში გადახედვა და გათვალისწინება სხვადახვა მოწყვლადი ჯგუფის საჭიროების გათვალისწინებით;
- საგანმანათლებლო სივრცის მოწყობა/ადაპტირება;
- კონკრეტული მექანიზმების განვითარება გენდერული ბალანსის შესანარჩუნებლად;
- პრევენცია, რათა არ მოხდეს პროფესიული განათლების ადრეულ ეტაპზე შეწყვეტა;
- დაფინანსების მექანიზმების გადახედვა და დანერგვა.

[8] საქართველოს მთავრობა 2014

[9] პროფესიული განათლების განვითარების სამოქმედო გეგმა, 2013-2015წ. გვ4

განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021

2017 წელს მომზადდა განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021წწ. რომელიც ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების სფეროში განხორციელებული მიღწევების, რეფორმების და გამოწვევის ანალიზს. ის მოიცავს სისტემის ყველა მიმართულებას.[10]

ნაშრომის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ პროფესიული განათლება რეგულირდება პარლამენტის მიერ 2007 წელს მიღებული კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“ მთავრობის ახალი ინიციატივებით და ევროკავშირთან შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებებით. ეს კანონი პასუხობს, როგორც ადგილობრივ, ისე კოპენჰაგენის პროცესთან და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობას.

აქამდე პროფესიული განათლება თუ განიხილებოდა ვიწრო პროფესიული უნარების განმავითარებელი სფერო, ახლა ის მოიაზრება, როგორც სწავლის თვითრეალიზაციის, სოციალური კეთილდღეობის, დასაქმების და თვითდასაქმების ხელშემწყობი ფაქტორი.

2013-2020 წლების სტრატეგიაში ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები, და ის ფაქტორები, რომლებიც ხელს შეუწყობს ადამიანური რესურსების განვითარებას, დასაქმების და თვითრეალიზების ხელშეწობას, შრომითი ბაზრის განვითარებას, ეკონომიკის განვითარებასა და სიღარიბის შემცირებას.

2013 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას ევროკავშირის წარმომადგენლებთან და დაიწყო ტექნიკური და საბიუჯეტო პროექტების

[10] განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია, 2017-2021

განხორციელება პროფესიული განათლების სისტემური რეფორმის მხარდასაჭერად, საქართველო აქტიურად ჩაერთო „ტურინის პროცესში”[11]

"ტურინის პროცესი (TRP)" ევროპის განათლების ფონდის (ETF) პარტნიორ ქვეყნებში ახდენს სისტემის შეფასებას და მონიტორინგს, პროფესიული განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.[12]

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა პროფესიული განათლების მართვის გაუმჯობესების მიმართულებით. ხელი შეეწყო კერძო სექტორების, სოციალური პარტნიორების ჩართულობას, შემუშავდა საჯარო-კერძო პარტნიორობის კონცეფცია, თავად დამსაქმებლები ჩაერთნენ პროფესიური დარგების შემუშავების პროცესში. დამსაქმებლებით დაკომპლექტდა დარგობრივი საბჭოები. დაიწყო სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება. ე.წ. „დუალური სისტემა“.

რაც შეეხება 2017-2021 წლის სტრატეგიას. ის მოიცავს სისტემის ყველა მიმართულებას: ზრდასრულთა განათლება, ბავშვთა ადრეული/სკოლამდელი განათლება, ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლება, მეცნიერება და კვლევები.

განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია ითვალისწინებს ასოცირების შესახებ შეთანხმებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის. ასევე შეესაბამება ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს, ევროპის საბჭოს და ევროპარლამენტის რეკომენდაციებს მთელი ცხოვრების სწავლის მიმართულებით, ასევე გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში შეთანხმებულ აქტივობებს. დოკუმენტი ეყრდნობა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებს, ქვეყნის

[11] განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია, 2017-2021
[12] https://eqe.ge/geo/static/627/Internationalization/

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას - „საქართველო 2020“.

სტრატეგიის მიზანია, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის და დაეხმარება მათ მდგრადი შედეგების მიღწევაში.

თუ წინა წლების სტრატეგია იყო უფრო ფართო და არსებული პრობლემებიც იყო დიდი მასშტაბს წლების მანძილზე განხორციელებული სტრატეგიების, რეფორმების შედეგად ეს ციფრი შემცირდა და გამოიკვეთა კონკრეტული მიმართულებები, რომლის განხორციელება აუცილებელი გახდა ამ ეტაპისთვის. ქვემოთ განვიხილოთ კონკრეტულ სტრატეგიულ მიმართულებებს.

1.4 პროფესიული განათლების შესაბამისობა შრომით ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან

პროფესიული განათლების პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელ პირობად სახელმწიფო სოციალური პარტნიორობის გაძლიერებას ასახელებს. ინტერნაციონალიზაციის მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან თავსებადი ეროვნული კვალიფიკაციების დანერგვა, გაცვლითი პროგრამების გაძლიერება, საერთაშორისო გამოცდილების და შრომითი ბაზრის გათვალისწინება, სამეწარმეო განათლების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ხარისხის დაახლოება ევროპულ საგანმანათლებლო სისტემასთან.

პროფესიული განათლებაში სამოქალაქო საზოგადოების და სოციალური პარტნიორობის მონაწილეობა მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, მათი მონაწილეობა უზრუნველყოფილია სოციალური პარტნიორობის ყველა დონეზე: ეროვნული პროფესიული საბჭო, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოები და დარგობრივი საბჭოები.

ეროვნული პროფესიული საბჭო 2015 წლიდან ფუნქციონირებს და წარმოადგენს პროფესიულ განათლების სფეროში ეროვნულ დონეზე ჩამოყალიბებულ მთავარ სათათბირო ორგანოს. საბჭოთა სხდომებზე განხილული იქნა ისეთი დოკუმენტები როგორებიცაა: პროფესიული განათლების ახალი კანონი, განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-202) პროექტი, არაფორმალური განათლების აღიარების წესის პროექტი, ავტორიზაციის ახალი სამუშაო ვერსია.

სსიპ განათლების განვითარების ეროვნულ ცენტრში 2017-2018 წლებში 11 მიმართულებით ფუნქციონირებდა დარგობრივი საბჭო. ის ეფუძნება სოციალური პარტნიორობის პრინციპებს, დარგობრივი საბჭოს ძირითადი ფუნქციებია: პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზარს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესის ხელშეწყობა, პროფესიული სტანდარტების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების შემუშავების საჭიროების შესახებ ინიციატივების განხილვა, პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების პროექტების განხილვა, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ან/და პროფესიული განათლების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

სოციალური პარტნიორობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოების

საშუალებით, და მნიშვნელოვან საკოორდინაციო რგოლს წარმოადგენს კოლეჯის მართვის პროცესში.

ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობის მთავარი ინსტრუმენტია ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო, მისი მიზანია უწყვეტი განათლების სისტემაში ხელი შეუწყოს სტუდენტთა და დამსაქმებელთა მობილობას. EQF უზრუნველყოფს, რომ კვალიფიკაციები გახდეს გასაგები ევროპულ სივრცეში. 2010 წლის 10 დეკემბერს საქართველომ დაამტკიცა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო.

საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო წარმოადგენს განათლების სისტემის სამ ქვესისტემას: ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება. ის აკავშირებს სხვადასხვა ტიპის და საფეხურის ჩარჩოებს იერარქიულად. 2014 წელს მომზადდა კვალიფიკაციების ეროვნული ახალი პროექტი. [13] 2018 წელს შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი ჩარჩოს დანერგვის მხარდაჭერის მიზნით. ჩარჩოს დანერგვის მხარდაჭერის მიზნით „ევროპის განათლების ფონდთან“ (ETF) ერთად შემუშავდა ევროკავშირის ახალი „Twinning” პროექტი. პროექტის მიზანია ბოლონიის პროცესის რეფორმების ეფექტური განხორციელება შესაბამის ინსტიტუტებში და ქვეყნის ჩართვა უმაღლეს საგანმანათლებლო ევროპულ სივრცეში. (EHEA)[14] პროექტი ამოქმედდა 2019 წლიდან და გაგრძელდება 2 წელი.

2014-2018 წლებში განხორციელებულმა პროფესიულმა საგანმანათლებლო რეფორმამ განახორციელა მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვა. მოდულურ პროგრამებში აქცენტი კეთდება არა მარტო

[13] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო. 2014წ.
[14] https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/tenders/twinning_en

პროფესიული უნარების განვითარებაზე, არამედ საბაზო და საკვანძო უნარების განვითარებაზეც.

პროფესიული კვალიფიკაციის ფორმირების პროცესში აქტიურად ჩაერთნენ დამსაქმებლები, დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლები. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების საფუძველზე განახლდა 200-დე პროფესიული სტანდარტი და დაინერგა 110 მოდულური პროგრამა. 2018 წლის მდგომარეობით, სისტემაში დანერგილი პროგრამების 70% მოდულურია. 2019 წლიდან სასწავლებლები სრულად გადავიდნენ მოდულურ საგანმანათლებლო სისტემაზე.

(MCA-Georgia) ათასწლეულების გამოწვევის ფონდი საქართველოს მიერ ჩატარდა საგრანტო კონკურსი, რომელიც პროვაიდერების და კერძო სექტორის/დამსაქმებლის ურთიერთთანამშრომლობას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების განვითარებას შეეხებოდა. შედეგად, დამსაქმებელთა ჩართულობით დაინერგა 40-ზე მეტი პროგრამა ინჟინერიის, ტექნოლოგიების და მეცნიერების მიმართულებით.

MCA-G პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ და ევროკავშირის პროექტის „ხარისხის განვითარების და შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში“ მხარდაჭერით მომზადდა ხარისხის უზრუნველყოფის ახალი ჩარჩო, დოკუმენტში განხილულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია. 2018 წელს განხორციელდა გარე ვერიფიკაციის პილოტირების პროცესი. ვერიფიკაცია ადგენს პროფესიული განათლების ხარისხს და მის ვალიდურობას.[15]

განათლების სისტემაში უწყვეტი სამეწარმეო სწავლების დანერგვის მიზნით 2017 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომლის

[15] https://eqe.ge/geo/news/show/53/2162

მიხედვითაც მომზადდა პროფესიულ განათლებაში სამეწარმეო განვითარების სამოქმედო გეგმის პროექტი. [16]

1.5. მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფა

სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების სისტემა. უნდა მოხდეს პროფესიული განათლების განვითარება, ასევე, უნდა მოხდეს მისი დაკავშირება, როგორც ზოგად, ასევე უმაღლეს განათლებასთან.

სტუდენტები, რომლებიც საბაზო განათლების საფუძველზე მიიღებენ პროფესიულ განათლებას, მიეცემათ აკადემიური განათლების საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. ასევე, შესაძლებელი გახდება პროფესიული განათლების საფეხურზე მოპოვებული კრედიტების აღიარება უმაღლეს საფეხურზე.

პროფესიული განათლების შესახებ კანონი უზრუნველყოფს მყარ სამართლებრივ საფუძვლებს,რომ დაინტერესებულ პირს შეეძლოს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის რეალიზებას. მისი მიზანია განათლების სისტემის ხარისხისა და მოქნილობის გაუმჯობესება.

2017 წელს გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, დაიწყო ორი პროგრამის პილოტირება, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, განხორციელდა პილოტირების მონიტორინგი და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები. პროფესიული განათლების ზოგადი განათლების ინტეგრირების სისტემურ დონეზე დანერგვის დაწყება გათვალისწინებულია 2019 წლიდან. ასევე, მოკლე ციკლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, რომლის კრედიტებიც აღიარებული იქნება აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე.[17]

პროფესიული განათლების კიდევ ერთი პრიორიტეტია, მისი საყოველთაოდ ხელმისაწვდომობა. რეფორმის ფარგლებში გათვალისწინებული იქნა სხადასხვა მოწყვლადი ჯგუფები, შშმ, სსსმ პირები, ეროვნული უმცირესობები, დევნილების,

[16] განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021წწ) ანგარიში, 2018წ.
[17] http://mastsavlebeli.ge/?p=10020

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინტერესები. დაწესებულებებში დაინერგა სხვხადასხვა სახის სერვისები, განვითარდა ადაპტირებული სასწავლო მასალები, დაიგეგმა და განხორციელდა სპეციალური ტრენინგები მასწავლებელთათვის. 2017-2018 წელს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებზე მორგებული მოკლევადიანი პროფესიული კურსები განხორციელდა, კურსებში ჩართულები იყვნენ მსჯავრდებულები და ყოფილი პატიმრები.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტში ჩამოყალიბდა ზრდასრულთა განათლების სამმართველო. მომზადების პროცესში გამოყენებული იქნება არამხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულების რესურსები, არამედ არაფორმალური სექტორის გამოცდილებაც. კერძო კომპანიები ტრენინგ-ცენტრები იზრუნებენ მათ გადამზადებაზე და შესაბამისი სერთიფიკატის გაცემა აღიარებული იქნება სახელმწიფოს მიერ.[18]

ახალი კანონის მიხედვით შესაძლოა დივერსიფიცირებული დაფინანსების მოპოვება, რაც გულისხმობს მრავალფეროვანი წყაროების და შესაძლებლობების არსებობას. დაფინანსება შესაძლოა გავრცელდეს კერძო პროვაიდერებზე. 2019 წლის სექტემბრამდე, საქართველოს მთავრობა გამოსცემს შესაბამის დადგენილებას, რომელიც არეგულირებს კოლეჯების ეკონომიკურ საქმიანობას და მიღებული შემოსავლების განკარგვის საკითხებს.

სტრატეგიის მნიშვნელოვანი საკითხია პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა უკლებრივ ყველა პირისათვის. 2017-2018 წლებში გაიზარდა პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, გაფართოვდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი, შეიქმნა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრები.[19]

მნიშვნელოვანი ცვლილებების ფონზე, შეგვიძლია მნიშვნელოვან მიღწევებად ჩავთვალოთ ის ფაქტი, რომ სტუდენტები, რომლებიც საბაზო განათლების

[18] განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021წწ) ანგარიში, 2018წ.
[19] განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021წწ) ანგარიში, 2018წ.

საფუძველზე მიიღებენ პროფესიულ განათლებას ექნებათ შესაძლებლობა სწავლა გააგრძელონ აკადემიური განათლების საფეხურზე, რაც წინა წლების რეფომების ერთ-ერთ სუსტ მხარეს წარმოადგენდა. ასევე, არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობას და დივერსიფიცირებული დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა.

1.6. პროფესიული განათლების პოპულარიზაცია

არსებულ სისტემაში მნიშვნელოვან ნაკლად მიმაჩნია ის, რომ ვერხერხდება პროფესიული განათლების სათანადო გზით პოპულარიზაცია, რაც ამ ეტაპისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ეს ქვეყნის ერთგვარ მენტალურ პრობლემადაც შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფო ბოლო პერიოდის განმავლობაში აქტიურად ახორციელებს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის განვითარების მიმართულებით აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან. მომზადდა პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის სტანდარტი და დაინერგა შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები.[20]

პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის თანახმად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვალდებულებაში განისაზღვრა ფორმალური განათლების პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირების და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარება. კანონის თანახმად სისტემის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა მოქალაქის დახმარება, რათა მან განათლების მიღებისას განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობა, ინტერესი და მართოს საკუთარი კარიერა.

[20] განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021წწ) ანგარიში, 2018წ.

საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში შექმნილია პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის შტატი. პროფორიენტაციის ფარგლებში სკოლებში დაიწყო პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება. 2017 წლიდან ხორციელდება სკოლის მასწავლებლებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა, პროგრამა მიზნად ისახავს მოზარდებში პროფესიული უნარების განვითარებას, და მათი მოტივაციის გაზრდას.

პროფესიული განათლების მიმზიდველობის და პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა პროფესიული განათლების ახალი ბრენდი და საკომუნიკაციო სტრატეგია. მისი მიზანია პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით შესაძლებლობების გაძლიერება საკომუნიკაციო ტექნიკის გამოყენებაში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის.[21]

სხვადასხვა ტიპის საკომუნიკაციო აქტივობებით ხორციელდება პროფესიული განათლების იმიჯის გაძლიერება, იგეგმება: ღია კარის დღეები, პროფესიული განათლების ფესტივალი, გამოფენები და საიმიჯო რგოლები.

პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მხრივ, მეტი ჩართულობაა საწირო, რადგან ის დღემდე არც ისე მიმზიდველ სპეროდ მოისაზრება ახალგაზრდებში.

1.7. პროფესიული განათლების მმართველობითი ორგანოები

პროფესიული განათლების სისტემის მაკონტროლებელი ორგანოებია: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს პარლამენტი; საქართველოს მთავრობა.[22]

[21] საკომუნიკაციო სტრატეგია, 2017-2020წწ.
[22] საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, თავი3, მუხლი17.

პროფესიული განათლების სფეროში საქმიანობას ახორციელებენ სასწავლო სამეწარმეო პარტნიორობის პრინციპის საფუძველზე, რის მიხედვითაც პროფესიული ასოციაციები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და დამსაქმებლები აქტიურად თანამშრომლობენ ქვეყანაში პროფესიული განათლების განვითარების მიზნით.

სტუდენტთა ჩარიცხვის წესს და პროფესიული ტესტირების საკითხებია არეგულირებს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2013 წ. 27 სექტემბრის ბრძანება N152/ნ, ხოლო ჩარიცხვა ხორციელდება ცენტრალიზებულად, ტესტირების საფუძველზე.[23]

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო პროფესიული განათლების სფეროში ახორციელებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას, პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვის მიზნით აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და ამტკიცებს მათ წესდებებს, საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს, კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოს, ამტკიცებს პროფესიული განვითარების, კარიელური წინსვლის განვითარების წესს და ა.შ.

საქართველოს პარლამენტი განსაზღვრას პროფესიული განათლების პოლიტიკისა და მართვის ძირითად მიმართულებებს, ისმენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ანგარიშს პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების, ფინანსური საქმიანობისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულების შესახებ.[24]

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას პროფესიული განათლების სფეროში, საქართველოს განათლების,

[23] საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, თავი3 მუხლი 20.
[24] საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ თავი3, მუხლი 19.

მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიას, ადგენს რეგულირებადი პროფესიის ნუსხას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარდგინებით ადგენს პროფესიული განათლების დაფინანსების პირობებს.[25]

1.8. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ

2010 წლიდან დაიხვეწა პროფესიული განათლების საკანონმდებლო ბაზა. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ: 1 თავის 1 მუხლი განსაზღვრავს მის მიზანს: „ამ კანონის მიზანია ქვეყანაში პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს სწრაფად და მუდმივად ცვალებად შრომის ბაზრის მოთხოვნებს“

საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად პროფესიული განათლება ერთი საფეხურიდან გადავიდა ხუთსაფეხურიან სისტემაზე.

ახალი კანონის მიხედვით პროფესიული განათლების იყოფა შემდეგ სახეებად: საბაზო პროფესიული განათლება - III დონე, საშუალო პროფესიული განათლება - IV დონე, უმაღლესი პროფესიული განათლება V დონე.[26]

ამავე კანონი განსაზღვრავს საქართველოში პროფესიული განათლების მიზნებს:

ერთიანი პროფესიული-საგანმანათლებლო სივრცის შექმნას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის ხელშეწყობას სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით:

ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა:

---

[25] საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ თავი 3, მუხლი 18.

[26] საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, თავი2, მუხლი 6.

შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა:

ინდივიდის დასაქმების, მათ შორის, საკუთარი ბიზნესისა თუ თვითდასაქმების, ხელშეწყობა. პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა.[27]

უნდა ითქვას, რომ მთავრობა ახალი კანონპროექტებით და პროგრამებით აქტიურადაა ჩართული პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობაში. ეს კანონი განსაზღვრავს პროფესიული სისტემის განვითარებისთვის საჭირო სახელმწიფო პოლიტიკას. მის სამართლებრივ ჩარჩოს, სამართლებრივ საფუძვლებს და აწესრიგებს სხვა ძირითად საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია პროფესიული განათლების სფეროსთან.

ამ კანონპროექტის მიხედვით არ არსებობს ასაკობრივი ბარიერი, ყველას აქვს უფლება მიიღოს უწყვეტი განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე, განვითარდეს თავის პროფესიაში, იყოს მაღალი კვალიფიკაციის კადრი და შესაბამისად, მოთხოვნადი შრომის ბაზარზე.

ძველი კანონის მიხედვით არსებობს პრობლემები, რომლებსაც ეს კანონპროექტი ვერ ითვალისწინებდა, იმ სტუდენტებს, რომელთაც არ ჰქონდათ საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, უმაღლესი განათლების მიმართულებით არ შეეძლოთ სწავლის გაგრძელება. პროფესიული განათლების პროცესში ვერ ხერხდებოდა საშუალო განათლების დასრულება. მათ უმრავლეს შემთხვევაში უწევდათ სკოლაში დაბრუნება ან პროფესიული განათლების პარალელურად სკოლაში სწავლა. მაგრამ 2017 წელს მიღებული კანონით ეს ყველაფერი შეიცვალა.

[27] საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, თავი2, მუხლი 7

ახალი კანონის მიხედვით აღმოიფხვრა ე.წ. საგანმანათლებლო ჩიხი, პროფესიული განათლების მიღებასთან ერთად სტუდენტს ექნება საშუალება მიიღოს სრული ზოგადი განათლება, ასევე, უმაღლეს სასწავლებელთან პროფესიული განათლების დაკავშირება კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მას.

ასევე, მოკლე ციკლის პროგრამები, მეხუთე საფეხური ითვალისწინებს შემოკლებულ და პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირებულ პროგრამას, რაც ნიშნავს ბაკალავრიატს.

მოკლე ციკლის დაფარვის შემდეგ სტუდენტს შეეძლება შრომით ბაზარზე დასაქმება, ნებისმიერ ასაკში გააგრძელოს უმაღლესი განათლება. ეს აძლევს მოქალაქეებს საშუალებას საგანმანათლებლო სისტემაში იყვნენ დიდხანს, და თავიანთი ცოდნის გამოყენება და მორგება ახალ მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს ცვლილებები და სტრატეგიები არაფორმალური განათლების განვითარების ხელშეწყობის მხრივ. რაც გულისხმობს, რომ პროფესიული განათლების მიღება არა მხოლოდ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაშია შესაძლებელი, არამედ მუდმივად ყოველდღიური ურთიერთობიდან, რომლის ვალიდურობაც დასტურდება საქართველოს პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის მიერ.

მნიშვნელოვანი რეფორმები ტარდება ინკლუზიური განათლების კუთხით, ბოლო წლებში განისაზღვრა ინკლუზიური პროფესიული განათლების კონცეფცია, მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობებისა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხვის მექანიზმი.[28]

მიუხედავად პოზიციური ცვლილებებისა, არსებობს რისკი იმისა, რომ ახალი სტანდარტები და გამართული საკანონმდებლო

[28] http://vet.ge/jump_profession/

ბაზა, არასაკმარისი იქნება მიიზიდონ სტუდენტები, ასევე, რთულია შრომით ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის ბალანსის დაცვა. არის რისკი იმისა, რომ უმაღლესი განათლების მოთხოვნა შენარჩუნდეს ისეთ პოზიციებზე, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიულ განათლებას.

1.9. ხარისხის კონტროლი პროფესიულ განათლებაში

პროგრამული აკრედიტაცია პროფესიულ განათლებაში ხორციელდება განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის საშუალებით. ავტორიზაციის გაცემის შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებას ეძლევა საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება. პროგრამაზე აკრედიტაციის მიღება თავისთავად გულისხმობს ხარისხიან განათლებას.

თუმცა ვერ განვასაზღვავთ თუ რამდენად კვალიფიციური გადაწყვეტილების მიღება მოხერხდა, რამდენად არის ეს მორგებული რეალობასთან? რა კვალიფიკაციის მქონე უნდა იყოს ექსპერტი ვინც ამოწმებს ამ ყველაფერს.[29]

1.10. არსებული პრობლემები პროფესიული განათლების სისტემაში

მთავარ პრობლემად პროფესიული განათლების ნაკლებ პოპულარულობისა არის მენტალური პრობლემა. მნიშვნელოვანია საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა, სტუდენტის უდიდესი ნაწილი სწავლის გაგრძელებისა უპირატესობას უმაღლეს განათლებას ანიჭებს, არჩევანი კეთდება ისეთ სფეროებზე, რომელიც არ არის მოთხოვნადი პროფესია შრომის ბაზარზე, შესაბამისად, ეს იწვევს დასაქმების მაძიებელთა და შრომის ბაზარს შორის დისბალანსს და ე.წ. „ჩიხების პრობლემას“.

უმუშევრობა კვლავ უდიდეს გამოწვევად განისაზღვრება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებული სტრატეგიის მიხედვით აქტიურად მიმდინარეობს ამ პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება.

[29] განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია, 2017-2021, 2018წ

განათლების რეფორმების მთავარი მიზანი განათლების სისტემისთვის შედეგზე ორიენტირებული, გამჭირვალე, თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სისტემის ჩამოყალიბებაა, რომლის მიღწევაც ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება.

პროფესიული განათლების შეფასების მექანიზმების დანერგვა, პოლიტიკური დოკუმენტები უნდა ითვალისწინებდეს შესაბამისი კვლევების ჩატარებას, რის მიხედვითაც მოხდება დაინტერესებული მხარეების და კურსდამთავრებულების მოსაზრებების დაფიქსირება და გათვალისწინება სამომავლო გეგმებისთვის.

ნაკლები ანალიზი და კვლევაა ჩატარებული ამ კუთხით, რაც ერთ-ერთი განმაპირობებელი პრობლემაა პრიორიტეტების განსაზღვრის, სასურველი და შრომის ბაზარზე ორიენტირებული კადრების მომზადების კუთხით.

არსებული პრობლემების გადასაჭრელად აქტიურად მიმდინარეობს რეფორმები, მიმდინარე ეტაპზე კვლევასთან ერთად აქტიურად უნდა ხდებოდეს კერძო სექტორთან ურთიერთობა, დამსაქმებლების ინტერესების გათვალისწინება და საჭირო პროფესიებისთვის კვალიფიციური კადრების მომზადება.

II პროფესიული განათლების ევროპული მიმართულებები

2.1. „ევროპა 2020“ ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის სტრატეგია

პროფესიული განათლების ინტეგრაცია ევროპულ სივრცესთან მნიშვნელოვანი ამოცანაა, ამ მიმართულებით საკმაოდ აქტიური ნაბიჯები იდგმება. საქართველოს პროფესიულ განათლების სისტემაში მნიშვნელოვანია თანამედროვე ევროპული პრიორიტეტების და მიმართულებების გათვალისწინება, რათა მოხდეს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, ადგილობრივ ბაზარზე დასასაქმებლად.

„ევროპა 2020“ (ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის სტრატეგია „ევროპა 2020“) -ში ასახული ევროკავშირის ქვეყნებში პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე პროცესები. სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს განვითარება, რომელიც იქნება გონივრული, განათლების ეფექტური დაფინანსების , ეკონომიკის განვითარების საფუძველზე და ინკლუზიური, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებს სამუშაო ადგილების შექმნას და სიღარიბის დაძლევას. [30]

სტრატეგია მოიცავს შემდეგ ინიციატივებს:

მოქნილი განვითარება: ინოვაციური კავშირების დამყარება, აქტიური ახალგაზრდობა.

მდგრადი განვითარება: ევროპა - რესურსის ეფექტიანი მომხმარებელი, ინდუსტრიული პოლიტიკა გლობალიზაციის ერაში.

ინკლუზიური განვითარება: ახალი პროფესიების და უნარების სისტემატიზაცია, ევროპული პლატფორმა სიღარიბის დასაძლევად.

ბრიუგეს კომუნიკეს მიხედვით, 2020 წლისათვი ევროპული პროფესიული განათლება უნდა გახდეს უფრო მიმზიდველი, კარიერაზე ორიენტირებული, რელევანტური, ინოვაციური, ხელმისაწვდომი და მოქნილი.

სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს უმაღლესი განათლების მიღებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ბრიუგეს კომუნიკეს ამოცანაა მეტი ჩართულობა და ევროპული პარტნიორობის გამოცდილების გაზიარება პროფესიულ განათლების სისტემაში.[31]

2.2. ევროპის საკვალიფიკაციო ჩარჩო

ევროპის საკვალიფიკაციო ჩარჩო ევროპის ქვეყვებისთვის საერთო სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს. მისი მიზანია კვალიფიკაციათა საშუალებით ერთმანეთთან დააკავშიროს სხვადასხვა ქვეყნების საგანმანათლებლო სივრცე. სხვადასხვა ქვეყნებში სტუდენტების მობილობის ხელშეწყობა. ის ასევე

[30] http://geoeuropeanunion.blogspot.com/2014/07/2020.html?fbclid=IwAR3vQTn1a81cz-DNlcSh8K5upPrbuUeP9i5Dkw_hgYBCTLyd5Dgx5gG4_E

[31] ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო,პროექტი „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“,სიტუაციური ანალიზი და საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნები ანგარიში.2015წ.

მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის და ევროპულ სივრცეში მუშაობის ხელშეწყობის მიზნით.[32]

პროფესიული კვალიფიკაციების სისტემის მიზანია პროფესიათა სისტემატიზაცია პროფესიული სტანდარტებით განათლებისა და დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კვალიფიკაციების გათვალისწინებით.

2010 წლის 10 დეკემბერს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო. რომელშიც აღწერილია განათლების სისტემის ყველა საკვალიფიკაციო საფეხური და მათი ურთიერთკავშირი.[33]

კოპენჰაგენის და ბოლონიის პროცესების მეშვეობით ევროპაში ყალიბდება საერთო საგანმანათლებლო სივრცე, რომლებიც უზრუნველყოფენ უმაღლეს და პროფესიულ განათლების სფეროებში ხარისხებისა და კვალიფიკაციების ურთიერთობას. ბოლონიის პროცესის მონაწილე საქართველოცაა, ის პროცესს შეუერთდა 2005 წელს, ბერგერის სამიტზე.

2.3 პროფესიულ განათლებაში ევროპული ინტეგრაცია

პროფესიული სფეროს რეფორმირებამ ევროპის მაშტაბით საფუძველი დაუდო ლისაბონის სტრატეგიამ. სტრატეგიის თანახმად ევროპაში ეკონომიკა უნდა იყოს კონკურენტუნარიანი და ცოდნაზე დაფუძვნებული, გაუმჯობესებული და მეტი სამუშაო ადგილებით.[34]

ამისათვის ევროპამ მოახდინა არა მარტო ეკონომიკის რადიკალური ტრანსფორმაცია, არამედ განათლების სისტემის მოდერნიზაციაც. „პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სფეროში ევროპული თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ“ 2002 წელს ევროკომისიის და ევროკავშირის განათლების მინისტრებმა მიიღეს კოპენჰაგენის დეკლარაცია. დეკლარაცია მიზნად ისახავდა ევროპული პროფესიული განათლების და ტრენინგის კოოპერაციის გაძლიერებას.[35]

კოპენჰაგენის დეკლარაციის საფუძველზე დაისახა პრიორიტეტები, რომელმაც კოპენჰაგენის პროცესში საფუძველი დაუდო განათლების და ტრენინგის სფეროში საერთო ევროპული სივრცის ფორმირებას. პროცესის მნიშვნელოვან საფეხურს

[32] (European Centre for the Development of Vocational Training [CEDEFOP], 2009)
[33] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, 2010, N120/ნ.
[34] ევროკავშირი რეგიონალური პოლიტიკა,ძირითადი პრინციპების გამოყენება, ათვისებული გაკვეთილის გაზიარება, გამოცდილების გაცვლა.
[35] https://eqe.ge/geo/static/81/Internationalization/copenhagen-process

წარმოადგენს „სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში - სტრატეგიის ფარგლებში ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს სამუშაო დოკუმენტის“ შემუშავებას. [36]

ევროპული პროფესიული განათლების სისტემის მნიშვნელოვანი მახასიათებლები შეიძლება დავყოთ შემდეგნაირად : მნიშვნელოვანია სოციალური პარტნიორების აქტიური მონაწილეობა პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, შრომითი ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება და მეტი პრესტიჟულობა საზოგადოებაში.

2.4 მოდულური საგანმანათლებლო სისტემა

2014 წლიდან პროფესიული განათლება გადავიდა მოდულური პროგრამებით სწავლებაზე. მის მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამების მოქნილობის ხელშეწყობა, ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება რაც ხელშემწობ ფაქტს წარმოადგენდა სტუდენტები დასაქმების და თვითდასაქმებისა. პროგრამის საშუალებით სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება სა დასაქმების შესაძლებლობა. [37]

ამ სისტემის პილოტირება დაიწყო 2014 წელს. 2015 წელს 52 მოდულური სისტემა განხორციელდა და მათში შემავალი 748 სავალდებულო პროფესიული მოდულის დაგეგმვის ღონისძიებები გაიმართა.

მოდულური პროგრამა სტუდენტს აძლევს საშუალებას შეიძინოს კონკრეტული კვალიფიკაცია და სწავლის დასრულებისას მიიღოს დიპლომი. პროგრამა შედგება სხვადასხვა მოდელებისგან, მოდულში ის კომპეტენციებია გაწერილი, რომელსაც დამსაქმებელი ითხოვს. კონკრეტული მოდულის გავლის შემდგომ სტუდენტს შეუძლია დაიმატოს სხვა კომპენტენცია. დასაქმების შანსი უფრო დიდია, რადგან ახალ მოდულურ სისტემაში ჩართულია დამსაქმებელი. სტანდარტებს აყალიბებს დამსაქმებელი და კოლეჯის ხელმძღვანელები. [38]

ერთ-ერთი პრიორიტეტი ამ სისტემის გახლავთ თავსებადობა შრომით ბაზარზე, თავად დამსაქმებელი ირჩევ რა უნარებს და კომპენტეციებს უნდა ფლობდნენ კადრები, რომლებიც უნდა დასაქმდნენ. დამსაქმებელი და დასაქმებული ერთად ქმნიან პროფესიულ სტანდარტს.

205 წელს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების ხელშეწყობისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსების შექმნის კუთხით

---

[36] კვალიფიკაციების ჩარჩოები (საერთაშორისო და ეროვნული ჩარჩოების შედარებითი ანალიზი)

[37] ქ.ციხისელი,მოდულური/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა,

[38] http://liberali.ge/news/view/16281/salome.ge

მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამამ“

პროგრამის ფარგლებში შემუშავდა 54 პროფესიული მოდულური პროგრამის და 5 ზოგადი მოდულის განხორციელებისათვის სასწავლო მასალა. [39]

მოდულური სისტემის ძირითადი და მთავარი მიმართულებებია :

ორიენტაცია სწავლის შედეგებზე,

პრაქტიკული კომპენტენციის გაძლიერება,

თანამედროვე შეფასების სისტემების დანერგვა.

პროფესიის დასაუფლებად სტუდენტებს რამდენიმე თეორიული საგნის შესწავლის ნაცვლად, მოუწევთ კონკრეტულ პროფესიაზე მორგებული მოდულების გავლა, მიმართულებები პირდაპირკავშირშია განათლების რეფორმის სტრატეგიით გათვალისწინებულ აქტივობებთან.

თუ აქამდე იყო საგნობრივი პროგრამები, რაც ნიშნავდა იმას, რომ სასწავლებელი, საკუთარი ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამას თავად შეიმუშავებდა. დღეს, გადასვლა ხდება მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე. ასევე, მსურველებს შეუძლიათ არჩევითი მოდულების შესწავლაც, რაც მათ დასაქმების შანს კიდევ უფრო ზრდის.

მოდულური პროგრამების განხორციელების უფლებას ვერ მიიღებს ის სასწვლებლები, რომელთაც არ გააჩნიათ შესაბამისი რესურსი, რეფორმის ერთ-ერთი სიკეთე იყო ის, რომ მოხდებოდა სასწავლებლების ხელახალი აღჭურვა. ამაში სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად დიდი როლი უჭირავს დონორებს. განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროფილის სასწავლებლებში, სადაც დონორს გაეროს განვითარების პროგრამა წარმოადგენს.[40]

თანამედროვე მოდულური მეთოდოლოგიის სწავლება განხორციელდება შემდეგ სპეციალობებში, რომლებიც ყველაზე მოთხოვნადია შრომით ბაზარზე: [41]

ბუღალტერ-ტექნიკოსი

სარეკლამო აგენტი

---

[39] https://www.mes.gov.ge/content.php?id=6125&lang=geo

[40] http://enpard.ge/ge/gaeros-ganvitharebis-prog/

[41] http://vet.ge/directions/

სადაზღვეო აგენტი

კონსულტანტ-გამყიდველი

ღონისძიებების მენეჯერი

საბაჟო საქმის სპეციალისტი

ოფისის მენეჯერი

ბანკის მოლარე-ოპერატორი

ბაგა-ბაღის აღმზრდელი

ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდამჭერის სპეციალისტი

ვებ ინტერფეისის დიზაინერი

საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი

დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი

ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი

კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი

სისტემის ადმინისტრატორი

მასაჟისტ-რეაბილიტატორი

სასტუმრო საქმის სპეციალისტი

არქიტექტორ - ტექნიკოსი

ფილამწყობი

ზეინკალ-სანქტექნიკოსი

მღებავი

თაბაშირ-მუყაოს კონსტუქციების მემონტაჟე

ფეხსაცმლის და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი

ტუროპერატორი

ბართენდერი

სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი.

ფაქტია, რომ ჩამოთვლილი სფეროები აქტუალური და მოთხოვნადია შრომით ბაზარზე, ამ მხრივ განხორციელებული რეფორმები უნდა მიმდინარეობდეს უფრო მასიურად, უკეთესია ტარდებოდეს მეტი გაცნობითი ღონისძიებები, მეტი ჩართულობა უნდა ხდებოდეს მისი პოპულარიზაციის მხრივ.

2.5. დუალური განათლება-სამუშაოზე დაფუძვნებული სწავლა გერმანიის მაგალითზე

საქართველოში პროფესიული განათლების დუალური სისტემა გერმანიის მაგალითზე წარიმართა, პროფესიულ განათლებას გერმანიაში მრავალწლიანი ტრადიცია და გამოცდილება აქვს, გერმანიის ეკონომიკის მზარდ და დინამიურ ეკონომიკის ქონის ერთ-ერთ განმაპირობებელ პირობას სწორედ ამ სისტემის არსებობით ხსნიან.

შრომით ბაზარზე გადავლას პროფესიული განათლებიდან დუალური მოდელის ერთ-ერთ მთავარ შესაძლებლობად არის მიჩნეული. დუალური სისტემა ორ მთავარ ადგილზე მიმდინარეობს: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც პროფესიისთვის აუცილებელ თეორიულ ცოდნას იღებს სტუდენტი, ხოლო მეორე ადგილს წარმოადგენს კომპანია/საწარმო, სადაც სტუდენტი საჭირო უნარს ივითარებს პროფესიის დაუფლებისთვის. [42]

გერმანიაში საუნივერსიტეტო განათლებას წინ უსწრებს პროფესიული განათლება. ის კარგი და მიმზიდველი რეპუტაციით სარგებლობს. სტუდენტების დიდი ნაკადი ირჩევს პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლებს, მისი მიმზიდველობის საიდულმო სწრაფი დასაქმების პერსპექტივაში მდგომარეობს.

სტუდენტი პირველი დღიდან, საწარმო ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, ითვლება დასაქმებულად. ანაზღაურება იზრდება გამოცდილებასთან და საჭირო უნარების შეძენასთან ერთად. სტატისტიკის მიხედვით დასაქმებულ კურსდამთვრებულთა რაოდენობა 95% შეადგენს.

პროფესიული დუალური განათლების პროცედურების მთავარი მონაწილეები არიან: სახელმწიფო, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, კომპანია/საწარმო და სტუდენტი. ოთხივე შტო ჩართულია პროცესში და ელოდება სარგებლის მიღებას.

ამ სისტემის გამართულობა გერმანიაში აიხსნება შემდეგნაირად: მოტივაცია;

[42] http://mastsavlebeli.ge/?p=13284

სტუდენტს - უნდა პრაქტიკული კვალიფიკაცია და გარანტირებული სამუშაო ადგილი.

კომპანია/საწარმოს - წარმატებისთვის ესაჭიროება კადრები, რომლებმაც კონკრეტულად იცის რა, პროდუქტი სჭირდება და თავად ქმნის მას. აფინანსებს სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებას საწარმოში, ისმენს ახალგაზრდების შეთავაზებებს და ითვალისწინებს მათ. საწარმოები, რომლებიც ჩართული არიან დუალურ პროფესიულ განათლებაში, უფლება აქვთ, იყვნენ პროფესიული განათლების პოლიტიკის ნაწილი.

სახელმწიფო - მას დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემაში მარეგულირებელი როლი აქვს. ეკონომიკის განვითარებისთვის სახელმწიფოს ესაჭიროება მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრები, მათი დასაქმებით და გადასახადების მიღებით ძლიერდება სახელმწიფო. ის სრულად აფინანსებს სტუდენტების თეორიულ განათლების მიღებას პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. [43]

რაც შეეხება საქართველოს, მან პილოტირება დუალურ საგანმანათლებლო სისტემაში 2016 წლიდან დაიწყო. გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაციის წამოწყებით მეღვინეობა-მევენახეობა იყო ის მიმართულებები სადაც დაინერგა დუალური საგანმანათლებლო სწავლება, მასში ასევე მონაწილეობდა 10 ქართული ღვინის კომპანია. სტუდენტები სწავლის დიდ ნაწილს გადიან საწარმოში.

დუალური სისტემის მიმზიდველობად შეიძლება ჩაითვალოს მისი შემდეგი განმაპირობებელი უპირატესობები: რომ პროცესის წარმართვაში ჩართულია ოთხივე მხარე: სტუდენტი, რომელიც იღებს ზუსტ ცოდნას იმ სპეციალობაში, სადაც გადაწყვეტს რომ იმუშაოს, დამსაქმებელი იღებს ნაკლებ ხარჯს, ყავს ისეთი კადრი, რომელიც საჭიროა მისი საქმის პროფესიულ დონეზე წასამართად და სახელმწიფო, რომლიც პროფესიული განათლების გაუმჯობესებით იღებს ძლიერ ეკონომიკას.

თუმცა, რამდენად რეალურია ეს მოდელი საქართველოსთვის? აღსანიშნავია, რომ რეფორმების გამოწვევებიდან უმთავრეს პრობლემად რჩება კერძო სექტორის ნაკლები ჩართულობა პროფესიული განათლების სისტემაში.[44] დამსაქმებელი

---

[43] პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე,საქართველოს მთავრობის დადგენილება №244 2013 წლის 19 სექტემბერი.

[44] პროფესიული განათლება საქართველოში მიმდინარე რეფორმები და გამოწვევები.ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში.30.12.2013. გვ.31

ორგანო ვერ იაზრებს მის პასუხისმგებლობას და შესაძლო შედეგისუნარიანობას. შესაბამისად გვაქვს:

 კერძო სექტორის ნაკლები ჩართულობა, შეუსაბამო შრომითი ბაზარი და ეკონომიკა, რომელიც რადიკალურად განსხვავდება გერმანული ეკონომიკისგან.

2.6 სხვა ევროპულ ქვეყნების გამოცდილება პროფესიული განათლების სისტემაში

პროფესიული განათლება ლუქსემბურგში

2015 წელს პროფესიული განათლების განვითარების ევროპულმა ცენტრმა (CEDEFOP) გამოაქვეყნა პუბლიკაცია ლუქსემბურგის პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზარს შორის კავშირის შესახებ.

ძირითადი რეფორმები პროფესიული განათლების კუთხით 2010-2011 და 2013-2014 წლებში დაიწყო. რეფორმის მთავარი მიზანი იყო იყო შრომის ბაზარსა და პროფესიულ განათლებას შორის მჭიდრო კავშირი. სისტემა ორიენტირებული იყო კომპენტენციებზე დაფუძნებულ და მოდულარულ კვალიფიკაციაზე. ისევე როგორც სხვა ქვეყნების შემთხვევაშიც რეფორმის მიზანი იგივე იყო, განათლების ხარისხის გაუმჯობესება, სწავლის ხელმისაწვდომობა მთელი სიცოცხლის მანძილზე, პარტნიორობის გაძლიერება ბიზნესთან, მოდულებით შეცვლა სასწავლო საგნები, და პროფესიული მასწავლებლების გადამზადება.

პროფესიულ განათლების ძირითადი მმართველობითი ორგანოები არიან: განათლების სამინისტრო, შრომის დასაქმებისა და ეკონომიკის სამინისტრო. ასევე, ხუთი პროფესიული პალატა, რომელიც არის დამოუკიდებელი პოლიტიკური ინსტიტუტი და წარმოადგენს დასაქმებულებს და დამსაქმებლებს, პალატა ჩართულია ლუქსემბურგის საკანონმდებლო პროცედურებსა და განათლების საკითხებში. პროფესიულ პალატებში აუცილებელია კერძო კომპანიებისა და დასაქმებულების გაწევრიანება. ასევე, სტატუსი „სასწავლო საწარმო“ ენიჭებათ კომპანიებს, რომლებშიც ხორციელდება სწავლა. (სტაჟირება). პროფესიული პალატების მთავარი მიზნებია: სტაჟიორების და კომპანიების ინფორმირება პროფესიული სასწავლებლის საკითხების შესახებ, განსაზღვრა მისი ორიენტაციის, სასწავლო საჭიროების, პროფესიული სწავლების სისტემის და პროგრამის შეფასება.

როგორც აღვნიშნეთ, ლუქსემბურგის პროფესიული განათლება მიმდინარეობს დუალური სისტემით, რაც თავისთავად გულისხმობს მკაფიო კავშირს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას შორის.

პროფესიული პროგრამების ხანგრძლივობა სამ წელს შეადგენს, და მასში გაერთიანებულია სასკოლო და სამუშაოზე დაფუძვნებული სწავლება. სტუდენტი

ვალდებულია მოიძიოს სასწავლო ადგილი საწარმოში, მათ კონსულტაციებში და სტაჟირების ვაკანტური ადგილების მოძიებაში ეხმარება პროფესიული ორიენტაციის სამსახური. კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილონ საწარმოებმა, რომელშიდაც სტუდენტები გადიან სტაჟირებას, დადასტურებული უნდა იყოს პროფესიული პალატის მიერ. [45]

პროფესიული განათლება შვეიცარიაში

შვეიცარია წარმოადგენს კიდევ ერთ ქვეყანას სადაც დანერგილია დუალური საგანმანათლებლო სისტემა, საერთაშორისო საგანმანათლებლო ბენჩმარკინგის ცენტრის კვლევის მიხედვით ევროპაში შვეიცარია ყველაზე ძლიერი ქვეყანაა პროფესიული განათლების კუთხით.

შვეიცარიაში პროფესიული განათლება წარმოადგენს მთავარ საგანმანათლებლო სისტემას , სტუდენტები 70% განათლებას ამ კუთხით აგრძელებენ. ისინი დამსაქმებლის ძლიერი მხარდაჭერით სარგებლობენ. მეორე ფაქტორი ამ სიტემის სიძლიერისა შეიძლება ჩაითვალოს მაღალი სტანდარტის ცხოვრების დონე შვეიცარიაში.

16-19 წლის სტაჟიორებს მასპინძლობდნენ ისეთი დაწესებულებები, როგორებიცაა: სადაზღვეო სააგენტოები, ბანკები, საავადმყოფოები, მაღაზიები, მცირე და მსხვილი ქარხნები.

პროფესიული სტუდენტების სტაჟირებაში კომპანიების 30 პროცენტია ჩართული, სტაჟირების ანაზღაურება 600-700 დოლარს შეადგენს მე3 წლიდან 1100-1200 ლარამდე იზრდება, საარსებო მინიმუმზე ნაკლები ანაზღაურების მიუხედავად, მოზარდებისთვის მაინც მიმზიდველია. შვეიცარიას აქვს ახალგაზრდა პროფესიონალების მონაცემთა ბაზა, უმუშევრობის დაბალი მაჩვენებელი და კვალიფიციური კადრები. სტაჟირების გავლის შემდეგ, მათ აქვთ კვალიფიკაცია, საქმდებიან სრულ განაკვეთზე ან აგრძელებენ სწავლას.

ყველაზე მთავარ ფაქტორად, რაც ხელს უწყობს ამ მოდულის სიძლიერეს შვეიცარიაში სახელდება, დამსაქმებელი ორგანიზაციების და ასოციაციების ძლიერი მხარდაჭერა. დამსაქმებელთა საზოგადოება წარმოადგენენ ასოციაციებს და ასოციაციების წევრ კომპანიებს, რომლებიც სტაჟირებაზე იღებენ სტუდენტებს.

[45] (European Centre for the Development of Vocational Training [CEDEFOP], 2015).

ასევე, მნიშვნელოვან პარტნიორად ითვლება ოლქები, მათ აქვთ პასუხისმგებლობა მონიტორინგი აწარმოონ პროფესიული პროგრამების განხორციელების დროს. პასუხისმგებლები არიან პროფესიული სასწავლებლის დაფინანსებაზე, კარიერის ცენტრების დაფინანსებაზე. ასევე დიდი დახმარებას უწევსკოლადამთავრებულებს.[46]

ჰოლანდიის პროფესიული განათლება

ჰოლანდიის საჯარო და კერძო პარტნიორობა აერთიანებს სკოლებს, სექტორულ ორგანიზაციებს და კომპანიებს. ასევე, ხელისუფლებას და სხვა დაინტერესებული მხარეები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების ხარისხს.

ნიდერლანდებში მასშტაბურად გრძელდება ხელშეწყობა კერძო-საჯარო პარტნიორობის განსავითარებლად. მის გრძელვადიან წარმატებას ხელს უწობს გარე მართვის და მონიტორინგის ეფექტიანი სისტემა. ამ სისტემის დამსახურებით საჯარო-კერძო არიან პარტნიორების დაწესებულებები, რომლებიც პროფესიულ განათლების დაფინანსების და პოლიტიკის შემუშავების ნაწილი ხდებიან.[47]

პროფესიული განათლება ესტონეთში

პროფესიულ განათლების მიღება ესტონეთში შესაძლებელია როგორც სავალდებულო, ისე საშუალო განათლების მიღების შემდგომ. პროგრამების ხანგრძლივობა სავალდებულო განათლების შემთხვევაში შეადგენს 3 წელს. საშუალო განათლების მიღების შემთხვევაში 1,5-2 წელს.

საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება ესტონეთში ხდება შემდეგი ორგანოების მიერ:

სახელმწიფო - სახელმწიფო ბიუჯეტი;

მუნიციპალიტეტი - ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტი;

კერძო - საგანმანათლებლო დაწესებულებები

პროფესიული სასწავლებლების 80 პროცენტს შეადგენს სახელმწიფო სასწავლებლები, 14 პროცენტს კერძო და 6 პროცენტს მუნიციპალური.[48]

---

[46]Hoffman& Schwartz, 2015.
[47] Heemskerk & Zeitlin, 2014
[48] Vocational education and training in estonia, 2017.

პროფესიული განათლება ნორვეგიაში

პროფესიული განათლება ნორვეგიაში რეგულირდება სკოლებს,საგანმანათლებლო ხელისუფლებასა და შრომის ბაზრის პარტნიორებს შორი. პროფესიული საბჭოებს წარმოადგენენ დამსაქმებელთა ორგანიზაციები, რომლებიც თანამშრომლობენ განათლების სამინისტროსთან პროფესიული განათლების სისტემასთან არსებულ საკითხებს.

ნორვეგიის პროფესიული საგანმანათლებლო სისტემა მიბმულია საწარმო სწავლებასთან და სარგებლობს დაინტერესებულ მხარეებს შორის ნდობის მაღალი ხარისხით. დამსაქმებლები თავად არიან ორიენტირებულნი მოიზიდონ სტაჟიორები. სწავლება ხორციელდება სასწავლებლებში და საწარმოში. ისინი ოლქების მიერ აღიარებულნი არიან როგორც სასწავლო საწარმოები.

პროფესიული განათლება ნორვეგიაში ხელმისაწვდომი ხდება საშუალო განათლების ეტაპზე. მე8 მე10 სასწავლო წელს სტუდენტს შეუძლია აირჩიოს პროფესიული განათლება.

პროფესიული საშუალო განათლების ზედა საფეხურზე ხდება ოთხწლიანი პროგრამის დაყოფა ორად: ორი წელი სტუდენტი სწავლობს სკოლაზე დაფუძნებული სწავლებით. შემდეგი ორი წელი სწავლას აგრძელებს საწარმოში. მე12 სასწავლო წლიდან სტუდენტი ირჩევს რომელიმე პროფესიულ სპეციალიზაციას.

საჯარო პროფესიულ სასწავლებელში სტუდენტს აფინანსებს სახელმწიფო, სასწავლო საწარმოების ბიუჯეტსაც სახელმწიფო აფინანსებს. პრაქტიკის განმავლობაში საწარმოში სტუდენტის სტაჟირება ანაზღაურებადი და მზარდია.[49]

პროფესიული განათლება საფრანგეთში

საფრანგეთში საშუალო განათლება მოიცავს ორ ეტაპს: კოლეჯი - სადაც სწავლა მიმდინარეობს 4 წელი, ლიცეუმი - 3წელი. საბაზო განათლება მოიცავს მე 6 - მე9 კლასებს. კოლეჯის დასრულების შემდეგ სტუდენტები სწავლას აგრძელებენ ლიცეუმში და მიმართულებებიდან ირჩევენ ერთ-ერთს: 1-ზოგადი და ტექნოლოგიური ან 2- პროფესიული. პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია 16 წლიდან, და სწავლის პროცესში ნახევარ დროს ატარებენ საწარმოებში, დანარჩენ ნახევარს კი სასწავლო ცენტრებში.

18 წლიდან სტუდენტები აგრძელებენ სწავლას ბაკალავრიატის ხარისხით. ამის საშუალება მათ ეძლევათ ლიცეუმის დასრულების შემდგომ. სწავლის გაგრძელება

[49] Olofsson &Wadensjö, 2012

ხდება შემდეგი მიმართულებებით: სწავლის გაგრძელება მოსამზადებელ კლასში, უნივერსიტეტი ან აირჩიონ პროფესიული ცხოვრება.

ბაკალავრიატი იყოფა შემდეგ მიმართულებად: თეორიაზე ორიენტირებული ბაკალავრიატი, ტექნოლოგიური და პროფესიური. აქედან უპირატესობას ანიჭებენ თეორიაზე ორიენტირებულ ბაკალავრიატს, რომელიც აერთიანებს პროფესიულ და თეორიულ სწავლებას და ამზადებს სტუდენტებს უმაღლესი პროფესიული სწავლებისთვის. პოფესიული ბაკალავრიატი კი ორიენტირებულია პირდაპირ შრომით ბაზარზე შესვლაზე.

პროფესიული განათლების ეს სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტებს პროფესიულ განათლებასთან ერთად მიიღონ ზოგადი განათლება, რაც საშუალებას აძლევს შემდგომ სწავლა გააგრძელოს უნივერსიტეტში. თუმცა შემდგომ სწავლის გაგრძელებას ახლავს გარკვეული სახის შეზღუდვებიც.

ტექნოლოგიური ბაკალავრიატის არჩევის შემთხვევაში უფლება აქვთ სწავლა გააგრძელონ ერთ-ერთი მიმართულებებით: ინდუსტრიული მეცნიერებები და ტექნოლოგიები, ინფორმაციული ტექნოლოგიები და ბიზნეს ადმინისტრირება, აგრარული, ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა, ლაბორატორიული მეცნიერება და ხელოვნება.

ზოგადი ბაკალავრიატის არჩევისას უნივერსიტეტში სწავლა შეუძლიათ გააგრძელონ შემდეგი მიმართულებებით: ლიტერატურა, მეცნიერება, ეკონომიკა და საზოგადოებრივი მეცნიერებები.

საფრანგეთის პროფესიული სასწავლებლების დაფინანსება ხდება: ადგილობრივი ხელისუფლებისგან, ცენტრალური ხელისუფლებისგან, ოჯახებისგან და კომპანიებისგან.სახელმწიფო ასევე აფინანსებს კერძო სასწავლებლების კურსებს და ზოგიერთი სკოლა ფინანსდება სოფლის მეურნეობის ან სოციალურ საქმეთა დეპარტამენტის მიერ. [50]

აღნიშნული ქვეყნების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ პროფესიული განათლება, რომელიც სამუშაოზე დაფუძვნებული სისტემით მიმდინარეობს, უფრო შედეგიანია. დავიწყოთ იქიდან რომ ამ ქვეყნების შრომითი ბაზარი განსხვავებულია, მაგრამ ძირითად ყველა სტაბილურ ქვეყანად მოისაზრება, აქტიური ჩართულობა კერძო სექტორის, სახელმწიფოს დიდი ხელშეწყობა, საჭირო ცოდნის მიღება და შემდგომ გარანტირებული სამუშაო ადგილი არის მიმზიდველი ახალგაზრდებისთვის, რომელთაც შეუძლიათ არჩევანის გაკეთება. საწარმო ინსტიტუტების დახმარებით გაარკვიონ თუ რომელ პროფესიაზე დიდი მოთხოვნა და გაითვალისწინოს ის პროფესიის არჩევისას.

[50] Poisson, 2014

კიდევ ერთი დიდი პლუსი რომელიც აქვს ევროპული ქვეყნის პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემას, არის ის, რომ ახალგაზრდას შეუძლია აირჩიოს პროფესიული განათლება, იმუშაოს, იყოს კვალიფიციური კადრი და გააგრძელოს სწავლა უმაღლეს დაწესებულებებში.

2.7. პროფესიული სასწავლებლების და შრომის ბაზრის ურთიერთობის ევროპული გამოცდილება

ევროპული ქვეყნების მონაცემების მიხედვით 15 ქვეყანაში ჩატარდა კვლევა, რომლის შედეგებიც გამოიყურება შემდეგნაირად.

კვლევაში მონაწილე პირებს წარმოადგენდნენ: მკვლევარები, მთავრობის წარმომადგენლები, სოციალური პარტნიორები და სხვა დაინტერესებული პირები ევროპის მაშტაბით.

კვლევის ამოცანა იყო, პროფსიულ განათლებას და შრომით ბაზარს შორის უკუკავშირის მექანიზმების ფუნქციონირების შესწავლა.

კვლევის შედეგად 4 ძირითადი მექანიზმი გამოიკვეთა, რომლებზედაც დამოკიდებულია : განისაზღვროს ,პროფესიული განათლების განახლების პროცესი როგორაა ორგანიზებული ის, არიან თუ არა ჩართულნი პროფესიული განათლების სტრუქტურები ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოში.

თანამშრომლობას შრომის ბაზარსა და განათლებას შორის უკუკავშირის მექანიზმები აჩვენებს. ის არსებობს ოთხი ტიპის:

ლიბერალური - რომელიც კოორდინაციის დაბალი ხარისხით სახელდება, და უკუკავშირი შრომის ბაზარსა და პროვაიდერებს შორის რეგულირდება ბაზრის მეშვეობით.

სტატიკური - ხასიათდება შრომის ბაზარს და განათლების სუსტი კავშირით და განათლების რეგულირებაში სახელმწიფოს ძლიერი როლით.

მონაწილეობითი - მექანიზმის დროს, პროცესში მონაწილეობს სოციალური პარტნიორები, მაგრამ მონაწილეობა ხასიათდება კონსულტაციური სახით.

კოორდინირებული - უკუკავშირის მექანიზმის დროს აქტიურ როლს ასრულებენ სოციალური პარტნიორები.



[51]

[51] თ. კაკუტია,ადგილობრივი შრომის ბაზრის როლი პროფესიული განათლების დაგეგმვასა და განვითარებაში,2017. გვ: 58



[52]

ხელმძღვანელობა, მართვა მიიჩნევა ძლიერ კავშირად და გულისხმობს: ინტერაქციის პროცესს პირებს შორის და მიმართულია სხვადასხვა პირთა ინტერესებს შორის კომუნიკაციის შედეგად კომპრომისის მიღწევისაკენ.

სიგნალი მიიჩნევა სუსტ კავშირად და გულისხმობს, სუსტად შეჯამებული ინფორმაციის რესპოდენტისთვის გადაცემას. ინფორმაცია შესაძლოა საწინააღმდეგო იყოს რესპოდენტის ვერსიის და არასავალდებულო გასათვალისწინებელი. თავად აქვს უფლება რესპოდენტს აირჩიოს თუ არა ის. [53]

“Economist Intelligence UniT” -ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ 2009 წელს აჩვენა, რომ ქვეყნების უმრავლესობა ქვეყნის განვითარებისთვის პრიორიტეტად ხედავს ძლიერ საგანმანათლებლო სისტემას, სახელმწიფო დანახარჯები არასაკმარისია და საჭიროა კერძო სექტორის ჩართვა. [54]

[52] თ. კაკუტია,ადგილობრივი შრომის ბაზრის როლი პროფესიული განათლების დაგეგმვასა და განვითარებაში,2017. გვ: 59
[53] European Centre for the Development of Vocational Training [CEDEFOP], 2013,[5537]

[54] An economist intelligence unit, 2009

პროფესიული განათლებისთვის მთავარი პოლიტიკური მიზანია განათლების ადაპტაცია შრომით ბაზართან. ნელ-ნელა იზრდება სოციალური პარტნიორობის ჩართულობა სისტემაში. შრომითი ბაზრის ხშირი ცვალებადობის გამო საჭიროა მიექცეს მეტი ყურადღება, რადგან მათი ჩართულობა იყოს მაქსიმალურად მომგებიანი და სასარგებლო, როგორც სახელმწიფოსთვის, ისე დასაქმებულისთვის.

III პროფესიული განათლების სისტემის განხორციელებული რეფორმების ანალიზი, არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

3.1 პროფესიული განათლების დაფინანსების სისტემა

პროფესიული განათლების სისიტემისთვის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოდაგნეს ფინანსური საშუალებები. ცენტრალური მთავრობის მიერ

შემუშავდა გეგმა ბიუჯეტირების შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტზე პასუხისმგებელი პირები არიან: საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

პროფესიული განათლების ბიუჯეტირების პროცესში გარდა სახელმწიფოსა ჩართულნი არიან უცხოელი დონორები, პარტნიორები, სპონსორები და კერძო სექტორი.

2013 წლიდან დაფინანსების ახალი წესი შევიდა ძალაში, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შემდეგი სახის დაფინანსებას.

-ვაუჩერული დაფინანსება - დაფინანსება ვრცელდება იმ სტუდენტზე, რომელიც გადალახავ მინიმალური კომპენტენციის ზღვარს.

-პროგრამული დაფინანსება - რომელიც აფინანსებს საჯარო პროფესიული სამადლობელო დაწესებულებების ადმინისტრაციულ ხარჯებს.

-მიზნობრივი - რომელიც გაიცემა, განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე.[55]

[55] პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური

პროფესიული განათლების დაფინანსებითვის შემუშავდა ახალი მექანიზმი: ე.წ. დივერსიფიცირებული დაფინანსების სისტემა, რაც გულისხმობს პროფესიული განათლების დაფინანსება მოხდეს მრავალფეროვანი წყაროებით. პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონი ქმნის სამართლებრივ საფუძვლებს იმას, რომ ეს მექანიზმები ჩამოყალიბდეს. კონკრეტული მოდელი მტკიცდება მთავრობის მიერ.

ასევე, მნიშვნელოვანი ცვლილება არის ის, რომ დაფინანსება გავრცელდება კერძო სასწავლო დაწესებულებებზეც. კერძო საგანმანათლებლო სასწავლებლები ჩართულნი არიან სამუშაო მაძიებელთა მომზადებაში სახელმწიფო პროგრამის გათვალისწინებით.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს უფლება, მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფინანსური სახსრები. მან უნდა წარუდგინოს მთავრობას მკაფიო მიზნები და საქმიანობის წარმართვის სქემა. კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობისა და მიღებული შემოსავლებს განკარგავს შესაბამისი კანონი.[56]

წლების განმავლობაში დაიხვეწა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების სისტემა. პროფესიული განათლების მიღება მთელი ცხოვრების მანძილზე გულისხმობს მის ხელმისაწვდომობას, რისთვისაც ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ფინანსებია. კარგი იქნებოდა წარმატებული სტუდენტებისთვის ხორციელდებოდეს დაფინანსების სხვა სტრუქტურა, მაგ: ჰქონდეს სტიპენდიის მიღების საშუალება. მის დაფინანსება უნდა უზრუნველყოფდეს სახელმწიფო. ჩემი აზრით ეს მიდგომა ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზაცია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია ციფრები, რომლებითაც ფინანსდება პროფესიული განათლება. აშკარაა, რომ ამ კუთხით მეტი ფინანსური სახსრების გამოყოფაა საჭირო. რადგან, პროფესიული განათლება, გულისხმობს კვალიფიკაციური კადრს შრომით ბაზარზე, ხოლო ეს ყველაფერი ერთ-ერთი, მთავარი განმაპირობებელი პირობაა უმუშევრობის აღმოსაფხვრელად.

ოდენობის დამტკიცების თაობაზე. საქართველოს მთავრობის დადგენილება №244. 2013 წლის 19 სექტემბერი.

[56] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №33 „თბილისის ეკონომიკისა და სამართლის კოლეჯის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ.

დასახელება	2013 წელი act	2014 წელი act	2015 წელი act	2016 წელი act	2017 წელი act	2018 წლის დაზუსტებული
პროფესიული განათლება	**13.3**	**23.2**	**33.0**	**33.7**	**36.5**	**43.8**
მ.შ ვაუჩერი	*3.7*	*11.8*	*11.5*	*12.3*	*14.1*	*14.1*
პროგრამული/მიზნობრივი	*5.6*	*3.0*	*6.9*	*9.4*	*12.3*	*14.3*
მოდულური საგანმანათლებო პროგრამების ხელშეწყობა					*0.12*	*0.13*
„სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების ქვეპროგრამა“					*1.3*	*2.0*
ინფრასტრუქტურის განვითარება	*2.9*	*6.9*	*12.3*	*10.0*	*8.2*	*12.5*
პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა	*0.1*	*0.2*	*0.2*	*0.3*	*0.3*	*0.3*
სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (პროფსიულ სტუდენტთა ტესტირება)	*0.5*	*0.1*	*0.1*	*0.1*	*0.2*	*0.2*
პროფესიული განათლებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა ეროვნული უმცირესობებისთვის"					*0.0*	*0.3*
პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის განვითარების	*0.4*	*1.2*	*1.9*	*1.5*	*0.0*	*0.0*

[57]

[57] ე. ნარეშელაშვილი, პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე საქართველოში,2017წ.

3.2. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი და ცვლილებები პროფესიული განათლების სისტემაში.

საქართველოში ეტაპობრივარდ ყალიბდება მცირე და საშუალო საწარმო სექტორი. საბაზრო სისტემის და ბიზნეს სექტორის განვითარებაზე მიუთითებს ის, უმრავლესობა რეგისტრირებულ საწარმოს შორის კერძოა. მნიშვნელოვანია საქართველომ ხელი შეუწყოს მცირე ბიზნესის განვითარებას. ამ მხრივ საკმაოდ ბევრი ე.წ. სტარტაპების დაფინანსება განხორციელდა, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს მცირე სამეწარმეო და თვითდასაქმების სფეროს განვითარებას.

„ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძვნების საჭიროების, მიზანშეწოლილობისა და განხორციელების საკითხების შემსწავლელი კომისიის“ რეკომენდაციით, საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე ტრენინგის საჭიროების, შესახებ ჩატარებული ანალიზის მიხედვით, დაიგეგმა 26 ახალი კოლეჯის გახსნა.მათ უნდა ეპასუხათ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე არსებული სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებზე. ამ კოლეჯების რაოდენობა იზრდება ყოველწლიურად.

კოლეჯები მაქსიმალურად უნდა მიესადაგებოდეს იმ რაინოს სადაც უწევს მოღვაწეობა, რეგიონისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით აღჭურვა და საჭირო მიმართულებების განსაზღვრა . ასევე, ხელი მოეწერა „პროფესიული განათლების და სწავლების და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ექსტენციის სისტემის მოდერნიზებას“ [58]

პროექტის მიზანია, სოფლის მეურნეობაში მაღალი ხარისხის პროფესიული სწავლების არსებობა, რაც უამრავ სარგებელს მოუტანს სოფლის მოსახლეობას. აისახება მათ ცხოვრების დონეზე და სოფლის ეკონომიკურ განვითარებაზე.

სოფლის მეურნეობაში ექსტენციის სისტემის განვითარება მოიცავს შემდეგს:

· კვალიფიციური ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა;

· სხვადასხვა ტრენინგები და სერვისების შეთავაზება ფერმენთათვის, ქვეყნის პარტნიორების და შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) პროექტის დახმარებით პრაქტიკული ცოდნისა და უნარების მიწოდება.

· კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობისა და პარტნიორობის მოდელის ჩამოყალიბების ხელშეწყობა და გაძლიერება სოფლის მეურნეობაში.

[58] UNITED NATIONS DEVELOPMENT PROGRAMME, Modernization of Vocational Educations and Training (VET)system related to agriculture in Georgia (VET Phase2), Ministri of Education, Science, Culture and Sport of Georgia, 2018

· საერთაშორისო გრანტების მოზიდვა. (UNDP,SDC) [59]

3.3 საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა სხვადასხვა ტერიტორიული ადგილმდებარეობის მიხედვით

ქვეყნის განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს განვითარებული რეგიონები. ამის ხელშემწყობ ფაქტად თამამად შეიძლება დავასახელოთ ძლიერი განათლების სისტემა. ყველა მხარეს აქვს თავისი რესურსი, რამაც შეიძლება სარგებელი მოუტანოს ქვეყნის ეკონომიკას. შესაბამისად, კვალიფიციური კადრებიც შეძლებენ თვითდასაქმების პროცესში იყვნენ მაქსიმალურად ეფექტური. სწორედ ამიტომ, საჭიროა ძლიერი პროფესიული განათლების სისტემის არსებობა.

ეკონომიკური შესაძლებლობის მნიშვნელოვანი განსხვავებაა რეგიონებს შორის. მაგ:

ყველაზე დიდი განსხვავება არის თბილისსა და ქვეყნის დანაჩენ ნაწილს შორის, ასევე, მაგალითისთვის, აჭარაში სასოფლო-სამეურნეო დარგების გასავითარებლად არ არის საკმარისი მიწა, უმუშევრობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე ქვემო ქართლში. ოფიციალური მაჩვენებლებით უმუშევრობის დონე სოფლებში ვიდრე ქალაქის ტიპის დასახლებებში. სხვაობა 20 პროცენტს შეადგენს. [60]

სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებულია თვითდასაქმებით, იმერეთი თბილისის შემდეგ ურბანიზაციის დონე ყველაზე მაღალი აქვს, მიუხედავად ამისა, უმუშევრობის დონე შედარებით დაბალია. მაგრამ აჭარის შემთხვევაში, იმერეთთან თითქმის თანაბარი ურბანიზაციის დონისა, უმუშევრობის დონე გაცილებით მაღალია. [61]

ამ განსხვავების ახსნა შეიძლება აიხსნას იმით, რომ აჭარის ეკონომიკა მიმართულია მშენებლობასა და ტურიზმზე, იმერეთში კი, საწარმოო მრეწველობისკენ, მიუხედავათ იმისა, რომ ტურიზმსა და მშენებლობაში დასაქმება მოკლევადიანი, ასეთი ტიპის სამსახურის პოვნა გაცილებით იოლია.

---

[59] UNITED NATIONS DEVELOPMENT PROGRAMME, Modernization of Vocational Educations and Training (VET)system related to agriculture in Georgia (VET Phase2), Ministri of Education, Science, Culture and Sport of Georgia, 2018.

[60] ე. ნარეშელაშვილი, პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე საქართველოში,2017წ.გვ.120.

[61] ე. ნარეშელაშვილი, პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე საქართველოში,2017წ.125

ასევე, მაღალმთიანი რეგიონების პირობები განსხვავებულია საქართველოს დანარჩენი ნაწილისგან. მაღალმთიანი რეგიონების შესახებ ახალი კანონი განსაზღვრავს ეკონომიკის სტიმულირებას ბიზნესისათვის. [62]ამ რეგიონის განვითარებისთვის საჭირო რესურსების გამოყოფას, სოციალურ შეღავათებს მოსახლეობისთვის. კანონი შემუშავდა საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, ავსტრიის განვითარების სააგენტოს, (ADC), სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის (SCO) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით.

ახალი კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ განსაზღვრავს სწავლის დონის ამაღლებას მაღალმთიან რაიონებში. სადაც აშენდა პროფესიული კოლეჯები. კოლეჯები გათვლილია კონკრეტულ რეგიონზე და სწავლება მიმდინარეობს იმ სპეციალობებით რაც მოთხოვნადი და დეფიციტურია რეგიონში. რათა მათი დასაქმება მოხდეს იმავე სოფელში და ეს ასევე ხელს შეუწყობს ე.წ. მიგრაციას სოფლებიდან.

პროფესორ ეკატერინე ნარეშელაშვილის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, რომელის უკეთ წარმოაჩენს პროფესიული განათლების კუთხით არსებულ მდგომარეობას მაღალმთიან რეგიონებში,შემდეგნაირად აღიწერა.

შემუშავებული კითხვარის შევსება მოხდა ორ პროფესიულ კოლეჯში : ამბროლაურის „ერქვანის“ და მესტიის „თეთნულდის“.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოთხოვნადი პროფესიებია: ვეტერინარია, ბუღალტერია და ტურიზმი. ყოველი წლის ბოლოს კოლეჯი აწარმოებს სტატისტიკას კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ, ეს რიცხვი წლიდან-წლამდე იზრდება.

პროფესიული კოლეჯის „ერქვანის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ხორციელდება სხვადასხვა სახის პიარ კამპანიები ადგილობრივი სტუდენტების მოძიების მიზნით. ყველაზე დიდ პრობლემად დასახელდა სასწავლო სახელოსნოების და საერთო საცხოვრებლის არ არსებობა, რომელიც ხელს უშლის სწავლის პროცესის სრულყოფილად წარმართვას.

მესტიაში პროფესიულ კოლეჯ „თეთნულდში“ ჩატარებული გამოკითვის მიხედვით: ყველაზე დიდ პრობლემად წარმოჩნდა რეაბილიტაციის პროცესის შეფერხება და მხოლოდ მესამე საფეხურის არსებობა. კოლეჯს აქვს სურვილი მოიპოვოს მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება.

[62] საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ.2015წ.

კახეთში ჩატარებული კვლევის მიხედვით კოლეჯ „აის“-ში გამოვლინდა რამდენიმე პრობლემა: დიდ სირთულეს წარმოადგენს პროფესიული კადრების მოზიდვის საკითხი, დამსაქმებელთან შედეგებზე ორიენტირებული ურთიერთობების საკითხებში არ აქვთ სათანადო გამოცდილება. ყველაზე მოთხოვნად პროფესიებად სახელდება: მზარეული, ელექტრიკოსი, ფილამწყობი, სტილისტი, ბუღალტერ-ტექნიკოსი და ვეტერინალური მომსახურების სპეციალისტი.[63]

კვლევების მიხედვით გაირკვა, რომ ნაკლებობაა პროფესიული კადრების არამარტო მაღალმთიან რეგიონებში არამედ საქართველოს სხვა კუთხეებშიც. რაც თავისთავად ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას, როგორც განათლების, ასევე პროფესიული კუთხითაც.

რეგიონების განვითარებისთვის უნდა მოხდეს შემდეგი მოცემულობის გათვალისწინება:

ორგანიზაციები, რომლებიც პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების პროგრამებს ახორციელებენ, მოხდეს ქსელური ურთიერთობის საგანმანათლებლო ორგანიზაციების ეფექტური მოდელის შექმნა.

საკადრო პოტენციალის გაზრდა ქსელური პროფესიული საგანმანათლებლო ორგანიზაციების.

განათლების ინტეგრაცია რეგიონულ ეკონომიკასთან.

ელექტრონული სწავლების ეფექტური მოდელის შექმნა ქსელური პროფესიული საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფარგლებში.

პროფესიული პროფესიების და სპეციალობების პრესტიჟის ამაღლებისთვის სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედებითი მიმართულებებით ქსელური ურთიერთქმედების პირობების შექმნა;

საგანმანათლებლო ორგანიზაციების ინტეგრირება;

პროფესიული საგანმანათლებლო რესურსების ეფექტური გამოყენება;

კადრების ინოვაციურ განვითარებაზე ორიენტირება

განათლების სისტემაში ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდა;

---

[63] ე. ნარეშელაშვილი, პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე საქართველოში,2017წ.

ერთიანი ელექტრონული სასწავლო გარემო

რეგიონალურ ეკონომიკასთან განათლების სისტემის ინტეგრირება

რეგიონის შრომითი ბაზრის შესწავლა, და მოთხოვნების გათვალისწინება.

ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარება ახალგაზრდებში.

ასევე, პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზაციის რეგიონული განვითარების პროექტების განვითარება უნდა მოიცავდეს შემდეგ მიმართულებებს:

პროგნოზირების ინსტრუმენტის შეყვანა დამსაქმებელთან ერთობლივად ადამიანური რესურსების საჭიროების გათვალისწინებით, მათი განაწილება გადამზადება და უკვე მომუშავე პერსონალის გადამზადება

საწარმოების, დაწესებულებების, საჯარო ადმინისტრაციის სტრუქტურების ფუნქციონირება და განვითარება სასწავლო პროგრამების კორექტირებისათვის ეკონომიკური პროგნოზის საფუძველზე და წარმოების სექტორიდან სწავლების მიზნით ადამიანების მოზიდვა;

რეგიონში არსებული ყველა რესურსის გამოყენებით პროფესიული განათლების სისტემის ახალი სტრუქტურის და პროგრამული ქსელის განვითარება.

კვლევები პროფესიული განათლების სხვადასხვა სახის ინტეგრაციის განათლების, მეცნიერების და წარმოების სექტორის გამოყენებით მეწარმეობის განვითარება.

ბიზნეს სექტორისთვის მნიშვნელოვანი პროფესიული განათლების სისტემის სიძლიერე, რადგან პროფესიული განათლების მქონე კადრი განათლებას იღებს იმ სფეროში, სადაც შემდეგ უნდა დასაქმდეს, ამიტომ, კვალიფიციური კადრი ყოველთვის სასურველია კერძო სექტორისთვის და არა მხოლოდ.

რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, მნიშვნელოვანია , რომ პროფესიული განათლების მიღება შეძლონ საცხოვრებელ რეგიონში და დასაქმდნენ ადგილზევე.

3.4.ადგილობრივი შრომის ბაზარი და მისი გავლენა პროფესიულ განათლებაზე საქართველოში

სოციალური პრობლემების და ეკონომიკური განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას და შრომითი ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებას.

სწორედ სახელმწიფოს ერთ-ერთი ამოცანაა ამ პრობლემის ეფექტურად გადაჭრა. აუცილებელია შესწავლა მოხდეს ბაზარზე არსებული სიტუაციისა, მოსალოდნელი და მიმდინარე ტენდეციების გათვალისწინება, უმუშევრობის მიზეზების კვლევა. აღნიშნული კვლევების სახელმწიფო დონეზე არ ტარდება, არსებული კვლევები კი, არ იძლევა საშუალებას არსებული ვითარების კომპლექსურად შესწავლის და მოსალოდნელი ცვლილებების პროგროზირებას როგორც სექტორული და რეგიონალური, ისე ქვეყნის მაშტაბით.

პროფესორ თამარ კაკუტიას მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით განისაზღვრა დამსაქმებლის მოთხოვნები და არსებული სიტუაცია შრომის ბაზარსა და პროფესიულ სასწავლებელს შორის.

დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ;

კადრების ძიების დროს ყველაზე გავრცელებული საშუალებაა პირადი კონტაქტები და ნაცნობთა რეკომენდაცია;

დიდი მოთხოვნაა უცხო ენების ცოდნის მხრივ;

ნაკლებად მოთხოვნად ცოდნად დასახელდა კომპიუტერული პროგრამების ფლობა

ზოგადი მოთხოვნები დამსაქმებლების მხრიდან არის: შრომისმოყვარეობა, პროფესიონალიზმი, კომუნიკაციის უნარი და პასუხისმგებლობის გრძნობა;

პროფესიის კვალიფიკაციის ასათვისებლად მათი აზრით საკმარისია 6 თვე;

ყველაზე მოთხოვნად პროფესიად დასახელდა „მიმტანის“ პოზიცია, მათი თქმით არასაკმარისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამო მათ უჭირთ სტუმრებთან ურთიერთობა და უცხო ენის ფლობა;

დამსაქმებლები უკმაყოფილოები არიან დასაქმებულთა პრაქტიკული უნარ-ჩვევებით.[64]

დამსაქმებლები ასევე ითხოვენ:

[64] თ. კაკუტია, ადგილობრივი შრომის ბაზრის როლი პროფესიული განათლების დაგეგმვასა და განვითარებაში. 2017 წ. გვ. 131.

ახალი ინოვაციებით და ტექნოლოგიურ მიდგომებით სწავლებას;

პროფესიონალ პრაქტიკოს პედაგოგებს;

სტაჟირებას, პროფესიული პრაქტიკის გავლას;

კონკურსებს;

პედაგოგთა ინტესიურ გადამზადებას თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით. [65]

აღნიშნული კვლევების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროფესიული განათლების განსავითარებლად აუცილებელია, შრომითი ბაზრის შესწავლა კვლევების საფუძველზე, ასევე, დამსაქმებლის მეტი ჩართულობა, განსაზღვრა იმისა, თუ რა კრიტერიუმებით მიხედვით ასაქმებს საწარმო სტუდენტს და მოხდეს ამ უნარ-ჩვევების და პრაქტიკის სრულყოფილი შესწავლა.

მსოფლიოშია არსებული კვლევებისა, რომელიც ჩატარებულია პროფესიული განათლების განვითარების კუთხით, შესწავლილია შრომითი ბაზარი და ა.შ. ეს ვერ იქნება გამოსადეგი სხვა ქვეყნისთვის. ამიტომ საჭიროა აქტიური კვლევები განხორციელდეს ამ კუთხით.

ქვემოთ მოცემულია დიაგრამაში ასახულია უმუშევრობის დონეები ქალაქ - სოფლის ჭრილში, აშკარაა,რომ ქალაქში უფრო დაბალი მაჩვენებელი უმნიშვნელო ცვლილებებს განიცდის, ამის ფონზე აშკარაა, რომ საქართველოს ეკონომიკური და შრომითი ბაზრის მდგომარეობა არცისე სახარბიელო სიტუაციაშია, ჩემი აზრით ამ პრობლემის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება ნაკლები კომუნიკაცია კერძო სექტორსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. რასაც მასიური სამუშაოების ჩატარება სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან. რომ ეს სისტემა მიმზიდველი გახდეს დამსაქმებლებისათვის.

[65] იხ. იგივე .გვ.132



[66]

3.5. მენტალობა საქართველოს პროფესიულ განათლებაში

ნაშრომის განხილვის დროს ბევრი ქვეყნის მაგალითი მქონდა განხილული, სადაც პროფესიულ განათლება აღიქმება, როგორც წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფორმულა, სარგებლობს იგი დიდი პოპულარობით და სტუდენტების უმრავლესობა არჩევანს სწორედ პროფესიულ განათლებაზე აჩერებს.

სხვა სიტუაციაა საქართველოში, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა პროგრამის შემუშავების და განხორციელების დროს დაიწყო 2011 წლიდან. დღითიდღე იზრდება ორგანიზაციების ჩართულობა პროფესიული განათლების განვითარების სისტემაში.

საქართველოსი მოწინავე პოზიციებს იკავებს უმაღლესი განათლება, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნადია ისეთი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია მომსახურებასთან და ვაჭრობასთან.

[66] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დასაქმება და უმუშევრობა საქართველოსი, 2019 - პირველი კვარტალი.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს აქვს პრობლემები მენტალური კუთხით პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, პროფესიული განათლება არ ითვლებოდა პრესტიჟულად.ამ სფეროთი დაკავებულ სტუდენტებს ძირითადად დაბალი აკადემიური მოსწრება ჰქონდათ. ამიტომ ეს სტერეოტიპი დღემდე აქტუალურ ფაზაშია, უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ კურსდამთავრებულებს უჭირთ დასაქმება, რადგან შრომითი ბაზარი არ მოითხოვს ამ რაოდენობის უმაღლესკურსდამთავრებულს.

2015 წელს საქართველოს მთავრობის პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ჩატარდა გამოკითხვა, რის თანახმადაც 73 პროცენტმა განაცხადა, რომ მისმა შვილმა უნდა მიიღოს უმაღლესი განათლება.

უმუშევრობა ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში, სწორი სტრატეგიის დანერგვის შემთხვევაში, რაც ითვალისწინებს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას, ასევე, დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ნელ-ნელა გაქრება ნეგატიური პოზიცია .

ასე რომ, სახელმწიფომ რიგ ცვლილებებთან ერთად, რომელსაც ახორციელებს პროფესიული განათლების კუთხით, დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს მისი გავრცელების, კონტიგენიტის მოზიდვის და საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლების პროცესს.

თუ რიგ პროცესებს გამართულად წარმართავს მთავრობა, ნელ-ნელა შეიცვლება დამოკიდებულება პროფესიულ განათლების შესახებ. საზოგადოება გაიაზრებს რომ ეს მოდელი არის თვითრეალიზაციისთვის და უკეთესი მომავლისთვის მნიშვნელოვანი.

შედეგები და განსჯა

რა საშუალებით უნდა წარიმართოს პროფესიული განათლების სისტემა

სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა მთავარი ფაქტორია ქვეყნის განვითარებისა. პოლიტიკის მთავარი მიზანია მაღალხარისხიანი და კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო სივრცის უზრუნველყოფა. რომელიც გარანტირებული ფაქტორია ძლიერი და ეფექტური სახელწიფო ეკონომიკის. ის ასევე ხელს უწყობს პიროვნების პროფესიულ და სოციალურ განვითარებას.

იმისათვის, რომ პროფესიული განათლების სისტემა იყოს გამართული საჭიროა სტრუქტურული განახლება და მორგება თანამედროვე რეალობასთან. სახელმწიფომ სისტემური პრობლემების და ხარვეზების თავიდან ასაცილებლად უნდა ბაზრის სისტემური კვლევა.

თანაბარად უნდა მონაწილეობდეს მთავრობასთან ერთად სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური პარტნიორები პროფესიული განათლების პოლიტიკის შემუშავებასა და სისტემის მართვაში.

კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას და სახელმწიფოს ერთიანი ეროვნული , მოქნილი საგანმანათლებლო ქსელი უნდა აერთიანებდეს.

პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის განურჩევლად, სქესის, ასაკის, სოციალური თუ ეთნიკური ჯგუფისადმი წარმომადგენლისა, ტერიტორიული მდებარეობისა, ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობის მიუხედავად.

პრფესიული განათლება უნდა პასუხობდეს სამომავლო გეგმებს და შეესაბამებოდეს საქართველოს შრომით ბაზარს. პროფესიული მასწავლებლების ტრენინგი და განვითარებაზე ზრუნვა უნდა იყოს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ამ სისტემის, რადგან მივიღოთ პროფესიული და კვალიფიციური კადრები. პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა უნდა სტუდენტს უნდა აძლევდეს საშუალებას მიიღოს მისი ცოდნის შესაბამისი სამუშაო ადგილი ან შეძლოს თვითდასაქმება.

მეტი ევროპული გამოცდილება და მათი ჩართულობა ამ პროცესში, ასევე, სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მისი ძირეულად შესწავლა და კვლევის წარმოება. პროფესიული განათლების ევროპულ სივრცესთან ინტეგრაცია საქართველს მთავარი ამოცანა უნდა იყოს.

ასევე, მნიშვნელოვანია დაფინანსების გაზრდა, ნაშრომში მოყვანილი ევროპული ქვეყნის მაგალითების მიხედვით, დამფინანსებელ ორგანოდ სახელმწფოს გარდა წარმოადგენენ სოციალური საწარმოს წარმომადგენლებიც, ამ სისტემის დანერგვა უფრო ფართო კავშირი და მეტი შესაძლებლობა იქნებოდა საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების კუთხით.

დასკვნა

არსებული კვლევების, რეფორმების,სტრატეგიების და მიმართულებით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო სტრუქტურები აქტიურად არიან პროფესიული განათლების პრობლემების აღმომქვრელ სისტემებში ჩართულნი.

თუმცა მაინც რჩება რიგი პრობლემები გადასაჭრელი.

სისტემის უარყოფით ნაწილად და ყველაზე პრობლემურ საკითხად მიმაჩნია შრომით ბაზარზე მოთხოვნას და მიწოდებას შორის დისბალანსის არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ ახალი რეფორმების მიხედვით აქტიურად უნდა წარიმართოს ურთიერთობა პროფესიულ სასწავლებელს და დამსაქმებელს შორის, ეს ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

ამის მიზეზად მიმაჩნია ის, რომ დამსაქმებლების უდიდეს ნაწილისთვის მიმზიდველად უმაღლესი განათლების მქონე კადრი რჩება, მიუხედავად სამუშაო ადგილის სპეციფიკასა, სადაც საჭიროა დასაქმდეს ისეთი კადრი, რომელსაც პროფესიული განათლებით აქვს მიღებული ცოდნა.

კვლევების საფუძველზე ირკვევა, რომ დამსაქმებლები არ არიან პროფესიული განათლების მქონე კადრებით ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მიმტანი, ტურისტული აგენტი, კონსულტანტი და ა.შ. მათი თქმით მათ უჭირთ უცხო ენაზე საუბარი და მომხმარებლებთან ურთიერთობითაც.

შესაბამისად, უნდა მოხდეს ამ სფეროებისთვის და არა მარტო, დიდი ყურადღების დათმობა, დამსაქმებლის აზრის გათვალისწინება როგორც ეს უცხოურ მაგალითების სახით გვყავდა მოყვანილი.

ასევე სისტემას სჭირდება სხვადასხვა პრობლემებისთვის ყურადღების მიქცევა:

სასწავლებლის მიერ შეთავაზებული პროგრამები უფრო უნდა იყოს მორგებული შრომით ბაზარს.

ასევე, უნდა მიექცეს დიდი ყურადღება პროფესიული განათლების იმიჯის განვითარების მხრივ, მართალია, ამ კუთხით უკვე გადაიდგა რაღაც ნაბიჯები, მაგრამ სტატისტიკა აჩვენებს, რომ საზოგადოებაში ისევ ვერ სარგებლობს ის პოპულარობით და მიმიზდველობით.

ასევე, მნიშვნელოვანია მაღალმთიანი რაიონების პრობლემები, რომლებიც ბევრი ცვლილებების მიუხედავად ვერ არის ბოლომდე გამართული, ამის მიზეზად კი პედაგოგიური კადრების ნაკლებლობა, არაკვალიფიციურობას და არასაკმარის მატერიალურ უზრუნველყოფა სახელდება.

ვფიქრობ, ამ პრობლემების ძირეულად აღმოსაფხვრელად უკეთესი იქნება სახელმწიფო თუ გამოყოფს მეტ მატერიალურ რესურს, ეცდება დამსაქმებლების მოზიდვას, მათ უზრუნველყოფას კვალიფიციური კადრებით, ასევე მეტ დაახლოებას ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან, და სისტემური ხასიათის კვლევები, რომლებიც დაეხმარება მათ, უკეთ განსაზღვრონ შრომითი ბაზრის მოთხოვნები, ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინება და ამის მიხედვით მოამზადონ სტუდენტები შესაბამისი პროფესიებისთვის.

განათლების სისტემის განვითარება საქართველოში არსებული რეფორმებიდან ერთ-ერთ უმთავრესს წარმოადგენს.მიუხედავად ამისა არსებობს მთელი რიგი პრობლემები, რომელიც აქვს სისტემას. სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს პროფესიული განათლების სისტემას, რადგან ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან სრულყოფა და უმუშევრობის აღმოფხვრა. რისთვისაც აუცილებელია პროფესიული, კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა.

პროფესიული განათლების პოლიტიკის სრულყოფილი ჩამოყალიბებისთვის პირობად სახელმწიფო სოციალური პარტნიორობის გაძლიერებას ასახელებს. ინტერნაციონალიზაციის მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან თავსებადი ეროვნული კვალიფიკაციების დანერგვა, გაცვლითი პროგრამების გაძლიერება, საერთაშორისო გამოცდილების და შრომითი ბაზრის გათვალისწინება, სამეწარმეო განათლების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ხარისხის დაახლოება ევროპულ საგანმანათლებლო სისტემასთან.

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ 2010წ.

2. პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე,საქართველოს მთავრობის დადგენილება №244 2013 წლის 19 სექტემბერი.

3. საქართველოს კანონი განათლების შესახებ,საქართველოს პარლამენტის უწყებები, 33, 31/07/1997.

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №33 „თბილისის ეკონომიკისა და სამართლის კოლეჯის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ.

5. საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ.2015წ.

6. პროფესიული კვალიფიკაციათა ჩარჩო,პროფესიული სტანდარტები,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი,2012.

7. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო. 2014წ.

8. პროფესიული განათლების განვითარების სამოქმედო გეგმა, 2013-2015.

9. განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია, 2017-2021

10. საკომუნიკაციო სტრატეგია, 2017-2020წწ.

11. პროფესიული განათლება საქართველოში მიმდინარე რეფორმები და გამოწვევები.ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში.30.12.2013.

12. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, 2010, N120/ნ.

13. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო,პროექტი „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“,სიტუაციური ანალიზი და საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნები ანგარიში.2015წ.

სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები:

14. განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021წწ) ანგარიში, 2018წ.

15. კვალიფიკაციების ჩარჩოები (საერთაშორისო და ეროვნული ჩარჩოების შედარებითი ანალიზი)

16. ევროკავშირი რეგიონალური პოლიტიკა,ძირითადი პრინციპების გამოყენება, ათვისებული გაკვეთილის გაზიარება, გამოცდილების გაცვლა.

17. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დასაქმება და უმუშევრობა საქართველოსი, 2019 - პირველი კვარტალი.

18. თ. კაკუტია,ადგილობრივი შრომის ბაზრის როლი პროფესიული განათლების დაგეგმვასა და განვითარებაში.

19. ე. ნარეშელაშვილი, პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე საქართველოში,2017წ.

20. ქ.ციხისელი,მოდულური/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა,

21. თაბუკაშვილი2015

22. Челидзе, К. (1981). Очерк истории среднего специального образования в Грузии

23. (European Centre for the Development of Vocational Training [CEDEFOP], 2009)

24. European Centre for the Development of Vocational Training [CEDEFOP], 2013,[5537]

25. European Centre for the Development of Vocational Training [CEDEFOP], 2015).

26. An economist intelligence unit, 2009

27. UNITED NATIONS DEVELOPMENT PROGRAMME, Modernization of Vocational Educations and Training (VET)system related to agriculture in Georgia (VET Phase2), Ministri of Education, Science, Culture and Sport of Georgia, 2018.

28. UNITED NATIONS DEVELOPMENT PROGRAMME, Modernization of Vocational Educations and Training (VET)system related to agriculture in Georgia (VET Phase2), Ministri of Education, Science, Culture and Sport of Georgia, 2018.

29. Vocational education and training in estonia, 2017.

30. Heemskerk & Zeitlin, 2014

31. Hoffman& Schwartz, 2015.

32. Olofsson &Wadensjö, 2012

ინტერნეტ-მასალები

33. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

https://eqe.ge/geo/static/627/Internationalization/

34. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

https://eqe.ge/geo/static/627/Internationalization/

35. ევროკავშირი საქართველოსთვის.

http://enpard.ge/ge/gaeros-ganvitharebis-prog/

36. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებები.

http://vet.ge/directions/

37. მასწავლებლები/ინტერნეტგაზეთი

http://mastsavlebeli.ge/?p=13284

38. ლიბერალი

http://liberali.ge/news/view/16281/salome.ge ლიბერალი

39. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო

https://www.geostat.ge/ka/modules/categories/60/profesiuli-ganatleba

40. პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის

http://iswd.ge/geo/home/

41. სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა

http://www.library.court.ge/login.php?geo&authorisation

42. ევროპული სიახლეების გვერდი

http://geoeuropeanunion.blogspot.com/

43. European Neighbourhood Policy And Enlargement Negotiations.

https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/node_en